კვირეული ბეჭდური „ვერსია“ ერთი

ვერსია

№39 (1581) 27 ოქტომბერი 2 ნოემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

შეიძლება თუ არა ექსპერტიზით სექსუალური ძალადობის დადგენა

ინტერვიუ მაია ნიკოლეიშვილთან, პაპის მიერ, 13 წლის გოგონას შესაძლო გაუპატიურების საქმეზე

ბვიადიდან მიშამდე

მუშაობს თუ არა 21-ე საუკუნეში ფორმულა – „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“

კახა მიქაია: „სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამ გახარია დააზიანა“

რა ხდება სამეგრელოში ზუგდიდის მერის არჩევნების მეორე ტურის წინ

რუსეთისა და დასავლეთის დიდი ომი ე.წ. აფხაზურ ეკლესიაში გავლენების მოსაპოვებლად

მამუკა არეშიძე: „ეს ჭიდაობა, დიდი ხანია, უშედეგოდ მიმდინარეობს!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ლონდონის სასამართლოს ვერდიქტი – „იმედის“ მფლობელი ირაკლი რუხაძე კონსპირაციაშია მხილებული?!

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის მეშვიდე შეხვედრაში.

შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ პროექტის ფარგლებში, ბოლო 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები განიხილეს.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პოლიტიკის დონეზე იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად, რაზეც მეტყველებს სამინისტროს მიერ განხორციელებული არაერთი აქტივობა.

ალექსანდრე დარახველიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სწავლებების საკითხზე. მან აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში სამართალდამცველთა გადამზადების პროცესი შეუქცევადია – არაერთი ტრენინგი და სწავლება ჩატარდა ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების რიგით და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, კასკადური გადამზადების პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. მან ასევე ისაუბრა მიმდინარე წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებზე, მნიშვნელოვანი აქტივობები და მიღწეული შედეგები შეაჯამა.

ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ევროპის საბჭოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სამინისტროსთვის აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად მზაობა გამოთქვეს.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია ანტიდისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გამოცდილების გაზიარება, ცნობიერების ამაღლება და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის სტანდარტებთან.

მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის მისაღები საგამოცდო მანქანები განახლდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში საგამოცდო მანქანების ავტოპარკი განახლდა. მართვის უფლების მიღების მსურველები „B“ კატეგორიის პრაქტიკულ გამოცდას თანამედროვე, GPSშ სისტემით აღჭურვილი, „შKODA ღAPID“-ის მოდელის სატრანსპორტო საშუალებებით აბარებენ.

მომსახურების სააგენტომ, ინფრასტრუქტურისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სადაც პრაქტიკული გამოცდების ჩაბარებაა შესაძლებელი, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური სამუშაოები ეტაპობრივად განახორციელა. 2021 წლის დასაწყისში, საწყის ეტაპზე, მხოლოდ რუსთავისა და გორის სტრუქტურულ ერთეულებში ჩანაცვლდა ძველი საგამოცდო მანქანები ახლით, ცოტა ხნის წინ კი ავტოპარკი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში განახლდა.

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვამ ნაოსნობის წესების დარღვევისთვის ჩინეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავა

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვამ ნაოსნობის წესების დარღვევისთვის ჩინეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, ჩინეთის დროშის ქვეშ მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი “HONG FA შHANG HAI” დააკავეს, - ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც ჩინეთის მოქალაქეა, სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საქმისწარმოება ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე 1-ლი პრიმა მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის “თ” ქვეპუნქტით.

გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა - 50 000 ლარი.

ჯარიმის გადახდის შემდეგ, გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

70 ევროს სანაცვლოდ ყალბი ე.წ.კოვიდ პასპორტის დამზადების ფაქტზე 9 პირი პასუხისგებაში მისცეს

70 ევროს სანაცვლოდ ყალბი ე.წ.კოვიდ პასპორტის დამზადების ფაქტზე 9 პირი პასუხისგებაში მისცეს. აღნიშნულ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„საგამოძიებო სამსახური აგრძელებს აქტიურ ღონისძიებებს ყალბი კოვიდ-პასპორტებისა და კორონავირუსის ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტების დამამზადებელ და გამომყენებელ პირთა გამოვლენა-მხილების მიზნით.

საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთის რეგიონში გამოვლენილია აღნიშნულის სახის დანაშაულის ორი ფაქტი, რაზეც პასუხისგებაში მიეცა 9 პირი, მათ შორის ერთი დაკავებულია.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა, ქ. თბილისში მდებარე ტურისტულ კომპანიაში, კოვიდვაქცინაციის გარეშე საზღვარგარეთ გამსვლელი მგზავრებისათვის გათვალისწინებული სავალდებულო კარანტინისაგან თავის არიდების მიზნით, მოქალაქეს დაუმზადა ორი ერთეული ყალბი ე.წ. კოვიდ-პასპორტი, თითოეული 70 ევროს სანაცვლოდ, რომელშიც შეიტანა ყალბი მონაცემები დოკუმენტის მიმღები პირის მიერ ჩატარებული კოვიდვაქცინაციის სრული კურსისა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების უარყოფითი შედეგების თაობაზე, რის შემდეგაც დოკუმენტები დაამოწმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლის ყალბი, კუსტარულად დამზადებული სველი ბეჭდით.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა როგორც ხსენებული ყალბი დოკუმენტები და ბეჭდები, ასევე, სხვა მოქალაქეებზე გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი კოვიდ-პასპორტები და მათ დასამზადებლად გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკა.

მეორე შემთხვევაში კი, იმერეთის რეგიონში მხილებულ იქნა რვა პირი, რომლებმაც, სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის რეგულაციებისათვის თავის არიდების მიზნით, შეიძინეს და გამოიყენეს თითქოსდა სამედიცინო დაწესებულებების სახელით გაცემული კორონავირუსის PCR ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტები“, - ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

ნინო დოლიძე

ზვიადიდან მიშამდე

მუშაობს თუ არა 21-ე საუკუნეში ფორმულა – „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“

ისინი ანუ ზვიად გამსახურდია და მიხეილ სააკაშვილი პროტოტიპები არ არიან, მაგრამ დიდი ხანია, ვიღაცები მათ შორის პარალელის გავლებასა და ტოლობის ნიშნის დასმას ცდილობენ. სხვათა შორის, ზვიადთან გატოლებას, პირდაპირ თუ ირიბად, თავად მიშაც ცდილობდა და ცდილობს. აი, თუნდაც ავიღოთ მესამე პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნება. ვერ ვიტყვით, რომ ეს იგივე სცენარი იყო, რომლითაც ჩეჩნეთში დევნილი პრეზიდენტი სამშობლოში ჩამოვიდა, მაგრამ ვიღაცები მსგავსებას მაინც ხედავენ და ამბობენ, როგორც ზვიადმა გასწირა თავი, ისე მიშაც სწირავსო.

სიტყვათა კომბინაცია – „თავი გასწირა“, შესაძლოა, ზოგს ეხამუშოს, მაგრამ გამსახურდიამ, რასაკვირველია, იცოდა, რომ საქართველოში ჩამოსვლით რისკავდა. ასევე, სააკაშვილიც ვერ იქნებოდა იმ აზრისგან თავისუფალი, რომ სამშობლოში, სადაც შიდა ძებნა იყო გამოცხადებული, დაიჭერდნენ.

სიკვდილსა და დაჭერას შორის, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი განსხვავებაა, მაგრამ თითქმის თვეა, სააკაშვილი სატუსაღოში შიმშილობს. შესაბამისად, ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ფატალური დასასრულის ალბათობა არსებობს. ამ სცენარზე მხოლოდ მინიშნებებით საუბრობენ, მაგრამ მოდით, გვეყოს გამბედაობა და პირდაპირ ვიკითხოთ – მესამე პრეზიდენტის გარშემო მოვლენების ფატალურად განვითარების შემთხვევაში, პრობლემა, რომელსაც მიშა ჰქვია, მოგვარდება?

ეს რიტორიკული კითხვა არ არის. ამიტომ, პასუხიც ერთმნიშვნელოვანია – ფატალურ შემთხვევაში პრობლემა არა, არ მოგვარდება!

რატომ?

მოდით, არცთუ შორეული წარსული გავიხსენოთ – შევარდნაძის ხელისუფლებას და, ალბათ, თავად ცხონებულ ამბროსის ძესაც ეგონა, რომ თუ ზვიად გამსახურდია აღესრულებოდა, იგივე, ე.წ. ზვიადისტების პრობლემა მოგვარდებოდა და სატანას თუ იუდას აღარავინ დაუძახებდა. მართალია, ოფიციალურად დღემდე არ დადასტურებულა, მაგრამ არაოფიციალურად ყველამ იცის, რომ სამეგრელოს ტყეებში, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სპეცრაზმის წევრებისგან შემდგარი რაზმები დასდევდნენ ანუ ეჭვი, რომ გამსახურდიას ლიკვიდაცია უმაღლესი ეშელონების ინტერესში შედიოდა, საფუძვლიანია და, მიუხედავად იმისა, რომ ზვიადის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად თვითმკვლელობა ითვლება, ვარაუდს, რომ ის მოკლეს, არსებობის უფლება აქვს.

ვის ინტერესში შედიოდა გამსახურდის მოკვლა? – ეს ვრცელი საუბრის თემაა. მოკლედ კი იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული მოძრაობის უპირობო ლიდერის სიცოცხლე ნერვებს კრემლს და, ასევე, სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულ ჯგუფს უშლიდა.

ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამუშავდა მარტივი ფორმულა – არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა, მაგრამ აპრობირებული მეთოდები ყოველთვის არ ამართლებს და ასე მოხდა გამსახურდიას შემთხვევაშიც – ზვიადის გარდაცვალების შემდეგ, ე.წ. ზვიადისტური მოძრაობა უფრო გააქტიურდა და სახელმწიფოს მეთაურებს კიდევ უფრო დიდი თავისტკივილი გაუჩნდათ.

სხვათა შორის, ე.წ. ზვიადისტების თემა არც 2000-იან წლებში განელებულა და ახლაც აქტუალურია. ამის თქმის საშუალებას კი იგივე 2 ოქტომბრის არჩევნების სამეგრელოს შედეგები იძლევა – ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილისთვის მიშა ახალი ზვიადია და შესაბამისად, ამ უკანასკნელის საქართველოში დაბრუნებამ ამომრჩევლის იმ ნაწილზე, რომელსაც გარდაცვლილი პირველი პრეზიდენტის მიმართ ემოციები ისევ აქვს, ამაღელვებლად იმოქმედა.

ახლა, რაც შეეხება მესამე პრეზიდენტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, როგორც ექიმები ამბობენ, ადამიანმა შიმშილობას, შესაძლოა, მაქსიმუმ, ერთ თვეს გაუძლოს. სხვა საკითხია, სააკაშვილი ციხეში საკვებს, თუნდაც თაფლის სახით, იღებს თუ არა, მაგრამ ასეც რომ იყოს, მისი ჯანმრთელობა მონიტორინგის ქვეშაა და იგივე კონსილიუმი უშვებს ალბათობას, რომ შესაძლოა, მისი კლინიკაში გადაყვანა გახდეს საჭირო.

ერთი სიტყვით, ჰიპოთეტურად, ფატალურობის დაშვება შესაძლებელია, მაგრამ ისევ ჩნდება ის კითხვა, რაც გამსახურდიას შემთხვევაში არსებობდა – მიშას არყოფნით, პრობლემა მოგვარდება?

პასუხი აქაც ცალსახაა – არა!

რატომ? – იმიტომ, რომ მიშა ზვიადი კი არაა, მაგრამ მიშას ზვიადობა ყოველთვის უნდოდა ანუ მან იმთავითვე იცოდა, რომ თუკი გამსახურდიას ტიპის ლიდერის იმიჯს შეიქმნიდა, მიზანს აუცილებლად მიაღწევდა და ამიტომ, ამ დასახული ამოცანის შესრულებას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა – ჯერ იყო და, ე.წ. ზვიადისტებთან შექმნა კოალიცია (ამის შესახებ ვრცლად, „ვერსიის“ ერთ-ერთ წინა ნომერში ვისაუბრეთ), მერე, როცა უკვე პრეზიდენტი აღარ იყო, პატრიოტული, აი, ისეთი, „ჯიგრიან ქართველებს“ რომ მოეწონებათ, განცხადებების გაკეთება დაიწყო და, რაც მთავარია, ზვიადის მსგავსად, მიშამაც გაიჩინა ისეთი მიმდევრები, რომლებიც დღესაც მზად არიან, რომ მისთვის თავი გასწირონ.

აი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ შეხვედრაზე, ერთ-ერთმა ცნობილმა ქალბატონმა, რომელიც საზოგადოდ, თავს შუაშისტად ასაღებს, ცრემლმორეულმა თქვა, მას შემდეგ, რაც მიშა შიმშილობს, ღამე წესიერად აღარ მძინავს და საჭმელსაც რომ ვჭამ, დანაშაულის განცდა მაქვს, ის მშიერია და მე – მაძღარიო (?!).

ჰო, როგორც იტყვიან, კომენტარი თქვენთვის მომინდვია, თუმცა ფაქტია – ზვიადიზმი და იგივე მიშიზმი ერთგვარ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა, რომლის არსებობა-არარსებობაც პიროვნების არსებობა-არარსებობასთან არ არის კავშირში.

ზოგადად, ნებისმიერი პრობლემის მოგვარებისას რადიკალური კი არა, დიპლომატიური ზომების მიღება უფრო ამართლებს ხოლმე. იმასაც ყველანი ვხვდებით, რომ თავის დროზე, ზვიადის და ახლა მიშას ნაბიჯიც (სამშბოლოში დაბრუნება), თავიდან ბოლომდე პოლიტიკური იყო ანუ გამსახურდიასაც და სააკაშვილსაც სურდათ, პოლიტვითარება აეჭრათ. ეს გამსახურდიამ საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლო (სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში მშვიდი ვითარება არც ზვიადის ჩამოსვლამდე იყო).

რა შეძლო მიშამ? – მინიმუმ, ის მოახერხა, რომ პოლიტიკაში მთავარ აქტორად დაბრუნდა, მაგრამ რის ფასად? – ამაზე პასუხს დრო გასცემს.

ჰოდა, დაველოდოთ დროს. ხომ გაგიგიათ, ნათქვამია, ხვალეს ხვალე იტყვისო.

და, როგორი იქნება ეს ხვალე?

ამ კითხვაზე პასუხი, დაახლოებით, არცთუ მრავალწახნაგოვანია – 30 ოქტომბერს ყველაფერი კი არ დამთავრდება, არამედ, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ყველაფერი, სწორედ 30 ოქტომბერს დაიწყოს.

მოკლედ, დაველოდოთ და ყველაფერს ვნახავთ...

რა ხდება სამეგრელოში ზუგდიდის მერის არჩევნების მეორე ტურის წინ

თათია გოჩაძე
598-43-50-34

კახა მიქაია: „სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამ გახარია დააზიანა“

30 ოქტომბერს, საქართველოს 20 დიდ ქალაქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური გაიმართება. მეორე ტურია დანიშნული ზუგდიდშიც, სადაც სახელისუფლებო კანდიდატ მამუკა წოწერიას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, ანზორ მელია დაუპირისპირდება. რა ვითარებაა სამეგრელოში არჩევნების წინ? – „ვერსია“ პოლიტიკოსსა და სამოქალაქო აქტივისტ კახა მიქაიას ესაუბრა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის რადიკალური მოწინააღმდეგე იყო...

– ჩემი დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისადმი არ შეცვლილა, მაგრამ „ქართული ოცნებისა“ და მისი „ლიდერშიფის“ ქმედებები კრიტიკას ვერ უძლებს. სამწუხაროა, რომ „ოცნების“ „ბოსები“ სააკაშვილის სარეკლამო აგენტებად იქცნენ – ბრიყვული და ღიმილისმომგვრელი კომენტარებით აძლიერებენ მას. რაც შეეხება მართლმსაჯულებას, კარგად მოგეხსენებათ ევროპელი პარტნიორების დამოკიდებულება ჩვენი სასამართლოსადმი, ამიტომ რაც უნდა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს, ქართული სასამართლოს მიერ სააკაშვილისთვის გამოტანილი ვერდიქტი ყველთვის ეჭვქვეშ დადგება ევროპელი პარტნიორების მხრიდან. თუ ასე გააგრძელეს, არათუ ევროპაში მიგვიღებენ, არამედ, შეიძლება, აზიიდანაც გაგვაგდონ და მიგვაბან ანტარქტიდას! ვშიშობ, მალე ეს დღეც დადგება, ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, ცოტა დაფიქრდეს და ისე გააკეთოს კომენტარები!

მინდა, ბიძინა ივანიშვილს მივმართო – ამათი გაჩერება მხოლოდ მას შეუძლია, მაგრამ როგორც ვატყობ, ბიძინასაც დაეკარგა იმედი. ისიც ვეღარ შეძლებს ამათ შეჩერებას, ასეთი განცდა მრჩება. არ მგონია, ბიძინა ივანიშვილი იმ დონეზე იყოს, როგორზეც მისი ხელქვეითები არიან და არც ის მგონია, ივანიშვილი ვერ აცნობიერებდეს, რამდენად დამაზიანებელია „ქართული ოცნებისთვის“ ამ პარტიის ლიდერების რიტორიკა. ამიტომ ვფიქრობ, თავად ბიძინა ივანიშვილიც უძლურია მათ წინაშე, ისე „აიწყვიტეს“ მისმა ხელქვეითებმა.

– ბატონო კახა, საქართველოში არსებობენ ადამიანები, რომელთაც კატეგორიულად არ უნდათ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, თუნდაც გირგვლიანის სკანდალური საქმისა და ენმ-ის მმართველობის სხვა პოლიტიკური ცოდვების გამო... როგორ ფიქრობთ, რა არჩევანის წინ დგას დღეს ხალხი?

– ამ 9 წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ უზრუნველყო ამ ქვეყანაში ორპოლუსიანობა. ეს წლები ხელისუფლებამ გაატარა სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ძაგებაში, მაგრამ არაფერი გააკეთა ქვეყნის განვითარებისთვისა და ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად. ამიტომ, საკითხი ასე დგას – ან „ნაცები“, ან „ქოცები“. სწორედ ეს მოცემულობაა ძალიან მძიმე ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის და თუ ვერ გამოვედით ამ ჯადოწრიდან ანუ „ნაც-ქოცური“ დაპირისპირებიდან, შეიძლება, საბოლოოდ დავკარგოთ ჩვენი ევროპაში გაწევრიანების იმედი. კარგად იცით ჩვენი პარტნიორების დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი, როგორ იკავებენ თავს და დიპლომატიური ენით გვესაუბრებიან, როგორ განიცდიან საქართველოში შექმნილ ვითარებას და ამ დროს, „ქოცებიცა“ და „ნაცებიც“ იგივე ფორმატში აგრძელებენ ურთიერთობას. ამიტომ, თუ ეს არ დასრულდა, ჩვენ აღმოვჩნდებით ანტარქტიდაში!

– მოკლედ, მიგაჩნიათ, რომ ამ პარტიულ ჭიდილში ყველაზე მთავარი – საქართველოს სახელმწიფოებრიობა იკარგება, არა?

– ეს იმდენად ცხადია, რომ ვინც ვერ ხედავს, მისი ადგილი პოლიტიკაში არაა!

– კი, მაგრამ გამოსავალს რაში ხედავთ? აქვე გკითხავთ: მიგაჩნიათ თუ არა გიორგი გახარიას პარტია მესამე ძალად – მან ხომ არცთუ მაღალი შედეგი აჩვენა ამ არჩევნებში...

– ვფიქრობ, პოლიტიკურ სპექტრში, ახლა მხოლოდ გახარიას შეუძლია, მესამე პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბდეს. გეთანხმებით, ამ არჩევნებზე გახარიას უკეთესი შედეგი უნდა დაედო, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამ, უპირველეს ყოვლისა, გახარია დააზიანა. ამიტომ, ვფიქრობ, დროთა განმავლობაში უნდა შეძლოს გახარიამ პარტიის გაძლიერება, რადგან, ჯერჯერობით, ის მაინც მოიაზრება, როგორც ერთი კაცის პარტია და მას ძლიერი პარტია ნამდვილად არ ჰყავს. საბოლოოდ, უნდა შეძლოს, ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკურ ცენტრად. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიული პროცესისითვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი.

– ისე, ექსპრემიერს მოღალატედ მოიხსენიებენ „ქართულ ოცნებაში“...

– „ოცნების“ „ბოსების“ გამონათქვამებზე მიჭირს სერიოზული კომენტარის გაკეთება. რამდენიმე წლის წინ ვთქვი, „ქართულ ოცნებაზე“ სერიოზული საუბარი შენს არასერიოზულობაზე მეტყველებს-მეთქი და დროთა განმავლობაში, ეს აზრი უფრო განმიმტკიცდა.

– ბატონო კახა, არსებობს მოსაზრება, რომ გახარიამ „ქართულ ოცნებას“ ხმები წაართვა და ამის გამო დაინიშნა დიდ ქალაქებში მეორე ტური. ამაზე რას იტყვით?

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს დამოკიდებულია მხოლოდ გახარიაზე, რა პოლიტიკურ ნაბიჯებს გადადგამს. გახარიამ ხმები წაართვა არა მხოლოდ „ქოცებს“, არამედ, „ნაცებსაც“. ამიტომ გეუბნებით, რომ არსებულ პოლიტიკურ სპექტრში, გახარიას შეუძლია, მესამე ალტერნატივად ჩამოყალიბდეს.

– მაინც, რამ განაპირობა გახარიას მიმართ, თქვენში ასეთი პოლიტიკური სიმპათიის გაღვიღვება?

– გახარიას ფანი არ ვარ და უშეცდომო პოლიტიკოსადაც არასოდეს ვთვლიდი. მას მხრებზე აწევს წარსულის სიმძიმეები, მაგრამ სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, გახარიას სერიოზულ პოლიტიკურ ძალად აღვიქვამ! ეს არის დღევანდელი მოცემულობა და ეს უნდა იქნას გამოყენებული, რათა არ დავრჩეთ „ქოც-ნაცურ“ დაპირისპირებასა და მარაზმში. ამ ჭაობში საბოლოოდ რომ არ ჩავიძიროთ, გამოსავალი მრავალპარტიულობა, მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნა და რაც მთავარია, კოალიციური მთავრობაა.

– ისე, სამეგრელოში რა ვითარებაა მეორე ტურის წინ? ზუგდიდში, პირველ ტურში, ანზორ მელიამ მნიშვნელოვანი შედეგი დადო...

– რაც შეეხება ანზორ მელიას, არ დაგიმალავთ და, მართლა არ ველოდი, თუ ამდენ ხმას მიიღებდა.

– რატომ?

– ზუგდიდს ახსოვს ის წლები, რისი მონაწილეც თითოეული ზუგდიდელი იყო, მაგრამ გადის დრო და როგორც ვატყობ, „ქართული ოცნების“ მმართველობა იმდენად მიუღებელია ზუგდიდელებისთვის, იმდენად მომაბეზრებელია მათი რიტორიკა და დამოკიდებულება სამეგრელოსადმი, რომ ვფიქრობ, ეს იყო პროტესტის გამოხატულება. როდესაც „მამალ ნაცებს“, მეგის ქარდავას ხელის ბიჭებსა და აგენტებს „ქართული ოცნება“ თავის სახეებად აქცევს... ამიტომ, ანზორ მელიას სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი ზუგდიდელებმა, ესაა და ეს. მეგის ქარდავას აგენტს, ანზორ მელია არჩიეს, თუმცა ზუგდიდელებს უნდა მივმართო – იყო სხვა ალტერნატივაც და არ უნდა გაეკეთებინათ არჩევანი მელიაზე, უნდა აერჩიათ სხვა, მაგრამ ეს არ მოხდა, რაც ძალიან ცუდია...

– იმას გულისხმობთ, რატომ არ მისცეს ხმა გახარიას, თან ექსპრემიერიც ხომ მეგრელია...

– არ ვიცი, რატომ არ მისცეს, ალბათ, შეურაცხყოფის გამო... ნაციონალური მოძრაობა, ფაქტობრივად, დასრულებული იყო და „ქართულმა ოცნებამ“ უზრუნველყო მისი გაძლიერება სამეგრელოში. ყველაფერ ამას ქვედინებებიც აქვს, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი არ მინდა... ამიტომ ვფიქრობ, მომავალი არჩევნების დროს უნდა დაფიქრდნენ ზუგდიდელები და სწორი არჩევანი გააკეთონ. პირველ რიგში, ზუგდიდი, რომელმაც ძალიან მძიმედ განიცადა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი, ისევ არ უნდა ჩარჩეს „ნაც-ქოცური“ დაპირისპირების ჭაობში, თუმცა ეს პროტესტი ჩემთვის გასაგებია.

– რა მოლოდინი გაქვთ მეორე ტურისთვის, როგორი განწყობაა სამეგრელოში?

– მობილიზაციაა გამოცხადებული „ქართულ ოცნებაში“, ყველაფერს აკეთებენ, რომ მეორე ტური მოიგონ, ასევე, მობილიზებულნი არიან „ნაცებიც“ და ვნახოთ, როგორ დასრულდება მეორე ტური. აყალ-მაყალის, დაპირისპირებისა და პოლიტიკურ ჩარჩოებს გაცდენილი პროცესი რომ არ მივიღოთ და რამე უბედურებას არ ვეწიოთ, ორივე მხარეს მოვუწოდებ, ნორმალურ პირობებში ჩაატარონ ეს არჩევნები და დაპირისპირებას არ გადააყოლონ ზუგდიდი, სამეგრელო და მთელი ქვეყნის ინტერესები!

– ბატონო კახა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას ებრძოდით, ახლა „ქართულ ოცნებასაც“ უპირისპირდებით... როგორ ფიქრობთ, თქვენს მსგავსად განწყობილმა ადამიანებმა რა არჩევანი უნდა გააკეთონ?

– ასეთი განწყობის ადამიანების მდგომარეობა ახლა ძალიან რთულია. ვფიქრობ, უმრავლესობაა დღეს ის ამომრჩეველი, რომელსაც არც „ოცნება“ მოსწონს და არც – ნაციონალური მოძრაობა. გარკვეულწილად, გახარია იყო იმედი ამ ადამიანებისთვის, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის შემდეგ იმდენ ხმას ვერ მიიღებდა, რამდენსაც ვარაუდობდა. ვფიქრობ, გავა დრო და სწორედ იმ ამომრჩეველმა, რომელზეც ვსაუბრობთ, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა „ნაცებს“ და „ქოცებს“ ქვეყნის განადგურებისა და ჭაობში საბოლოოდ ჩაძირვის საშუალება არ მისცეს.

– როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი რას შეცვლის საქართველოს უახლეს პოლიტიკურ მომავალში?

– სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში. ფაქტობრივად, მისმა ჩამოსვლამ და დაპატიმრებამ გააძლიერა ოპოზიცია. სწორედ მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას ვუკავშირებ ზუგდიდში არჩევნების შედეგს და ვინც იტყვის, რომ მიშას ფაქტორი არ არსებობს, მას პოლიტიკაში არაფერი ესაქმება. როგორ გაგრძელდება და დასრულდება ეს პროცესი, ამას ვნახავთ. თუ „ქართული ოცნება“, თავისი არაადეკვატური ქმედებებით, არ გააძლიერებს სააკაშვილს და ეჭვქვეშ არ დააყენებს ჩვენი დასავლელი პარტნიორების წინაშე იმას, რომ ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს სამართლიანობა, ვფიქრობ, ეს იქნება ყველაზე კარგი. ყველაფერი ეს დამოკიდებულია მმართველ ძალაზე. ჩვენი დასავლელი პარტნიორები გამადიდებელი შუშით უყურებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ეს, პირველ რიგში, უნდა გააცნობიეროს ხელისუფლებამ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მიშას ფაქტორი ძლიერია, დღევანდელ პოლიტიკურ პროცესში გადამწყვეტი სიტყვა და პასუხისმგებლობა ეკუთვის ხელისუფლებას.

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

მამუკა არეშიძე: „ეს ჭიდაობა, დიდი ხანია, უშედეგოდ მიმდინარეობს!“

ოკუპირებული აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. ეკლესიამ, საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან დამოუკიდებლობის მიღების მოთხოვნით მიმართა. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით“ რეგისტრირებულმა ეპარქიის საეკლესიო საბჭომ (АПЦ) საქართველოს საპატრიარქოსგან საპასუხო წერილი მიიღო, სადაც მღვდელმსახურ ბესარიონ აპლიას საქართველოს პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიხეილ ბოტკოველი პრობლემური საკითხების თბილისში განხილვას სთავაზობს.

ე.წ. აფხაზური ეკლესიის ხელმძღვანელმა, ბესარიონ აპლიამ საქართველოს საპატრიარქოს ამ შეთავაზებას „მზაკვრობა“ უწოდა და განაცხადა: „სადაც გკლავენ, განადგურებენ, იქ წასვლა და საუბარი არ ღირს, ეს არის ჩემი განმარტება“.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში, ბესარიონ აპლიამ „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ სტატუსის განსაზღვრამდე მსახურება შეაჩერა, თუმცა მალევე განაახლა და თქვა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთში, ავტონომიური ეკლესიის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. თებერვალში ამ საკითხზე „ვერსიამ“ ვრცელი სტატია – „ახალი რუსული ბომბი – ოკუპირებული აფხაზეთის ტაძრებში ღვთისმსახურება დროებით შეწყდა!“ გამოაქვეყნა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთს თავის კანონიკურ ტერიტორიად მიიჩნევს, – ასე თვლის მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, მათ შორის, მოსკოვის საპატრიარქოც. რატომ აქტიურდება „აფხაზეთის ეკლესიის“ დამოუკიდებლობის საკითხი სწორედ მაშინ, როცა საქართველოში პოლიტიკური ვითარება მეტ-ნაკლებად არამდგრადია და ხომ არ დგას ყველაფერ ამის უკან რუსული ინტერესი? – ამ თემაზე „ვერსია“ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

რუსეთისა და დასავლეთის დიდი ომი ე.წ. აფხაზურ ეკლესიაში გავლენების მოსაპოვებლად

– რუსეთი ყოველთვის ცდილობს, რომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი გამოიყენოს, მაგრამ ამ თემას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ, რადგან რუსეთს მხოლოდ ეს საკითხი არ წამოუწევია. ძალიან მნიშვნელოვანია საზღვრების, აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი მოლაპარაკების საკითხი, რა თქმა უნდა, რუსეთის კულუარული კურატორობის ქვეშ. ასევე, საგულისხმოა, მაგალითად, „3+3“-ის ფორმატი, რომელსაც ერდოღანს ახმოვანებინებს და ა.შ. მოკლედ, ეს კომპლექსური მიდგომაა, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენების გაძლიერება ჰქვია. ყარაბაღის მოვლენებიდან გამომდინარე, ყველაფერი ეს ინტენსიურად იმიტომ აქტიურდება, რომ რუსეთმა, მართალია, ბევრი რამ დაიბრუნა, რაც 2000-იანი წლების დასაწყისში დაკარგა და ასევე, დაბრუნდა აზერბაიჯანში სამხედრო პოლიტიკური წარმომადგენლობის თვალსაზრისით – სამხედრო ნაწილები განალაგა ყარაბაღის ტერიტორიაზე, მაგრამ ისე მოხდა, რომ იქ, 100-წლიანი პაუზის შემდეგ, თურქეთიც დაბრუნდა. საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში თურქეთი დღეს ძალიან ინტენსიურად მუშაობს, განსაკუთრებით კი – აზერბაიჯანში, რათა მაქსიმალურად განიმტკიცოს საკუთარი მდგომარეობა. სხვათა შორის, აზერბაიჯანული არმიის მთელი სამხედრო ხელმძღვანელობა, პრაქტიკულად, თურქეთის ხელშია და იმ ფონზე, როცა დასავლეთი ამოვარდნილია სამხრეთ კავკასიური ინტენსიური პოლიტიკიდან, რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთს უკან დაბრუნების საშუალება არ მისცეს. დასავლეთის ინტერესების გამტარებელი კი რეგიონში საქართველოა, ამიტომ კრემლს უნდა, საქართველოში ისეთი ვითარება შექმნას, მუდმივად პოლიტიკური დისკომფორტი და დასავლეთის მიმართ გარკვეული გაუცხოება იყოს. რუსეთისთვის მთავარი ძალის დემონსტრირება და ტანკებით სირბილია. მას დასავლური პოლიტიკის ნარატივები რომ გადაეღო, მაშინ შეძლებდა მღვრიე წყალში უფრო მეტი თევზის დაჭერას, მაგრამ რაც არ იცის, არ იცის.

– აფხაზეთში ავტოკეფალიის წამოწევის საკითხს, გალში ქართულ ენაზე სწავლების სრულად აკრძალვა, ასევე, ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული პასპორტების ხალხისთვის დარიგება ანუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის „რბილი ძალის“ გაძლიერება უძღვოდა. ყველაფერ ამის შესაჩერებლად ქართულმა მხარემ რა უნდა გააკეთოს?

– რაც შეეხება ეკლესიის თემას, ეს „ჭიდაობა“, დიდი ხანია, აბსოლუტურად უშედეგოდ მიმდინარეობს, რადგან რუსეთის ეკლესია შესაბამის ნაბიჯებს არ დგამს და ამის აღიარება არ სჭირდება იმიტომ, რომ მისი გავლენა აფხაზეთში მაინც უზარმაზარია. ამასთან, ბესარიონ აპლიას აფხაზეთში ოპოზიცია ჰყავს – დოროთეიდ ბარის გუნდის სახით, რაც ბერძნული ეკლესიის ერთ-ერთ განშტოებას ექვემდებარება. აპლია, როცა გვარად ჯერ კიდევ ფილია გახლდათ, დიაკვნად ჩვენმა პატრიარქმა აკურთხა. დოროთეიდ ბარის მარჯვენა ხელი, სარსანიაც მღვდლად, ასევე, პატრიარქის მიერაა ხელდასხმული. მოკლედ, იქ ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. მათი „ჭიდაობა“, პრინციპში, უშედეგოა, რადგან ბარი დარბოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, რომ აფხაზეთის ე.წ. ეკლესიის დამოუკიდებლობა ეღიარებინათ, აპლია კი – მოსკოვში...

– გამოდის, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ეკლესიაშიაც გავლენების მოსაპოვებლად რუსეთი და დასავლეთი იბრძვიან?

– პრაქტიკულად, ასეა. უფრო პრევენციაა, რომ დასავლეთი არ ჩაერიოს და აფხაზი მღვდელმთავრების პოზიციის შეცვლა საბერძნეთის ან სხვა დასავლური ეკლესიის მეშვეობით არ მოხდეს.

რაც შეეხება იმას, საქართველოს მხარემ რა უნდა გააკეთოსო, არ ვიცი, როგორ უნდა გიპასუხოთ. ეს თემები იმდენად დავიწყებულია, რომ თქვენს კითხვაზე პასუხიც არ მაქვს, რა შეიძლება გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ ამ „რბილი ძალის“ წინააღმდეგ, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რბილი კი არა, საკმაოდ უხეში ძალაა ეს და, პრაქტიკულად, გვაქვს სამინისტრო (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სამინისტრო), რომლის ფუნქცია კითხვის ნიშნის ქვეშაა. არ ვიცი, რას აკეთებს, რადგან იმ გეგმიდან, რომელიც ჯერ კიდევ 2010 წელს შემუშავდა, აქტიურად მხოლოდ ერთი, სამედიცინო სეგმენტი მუშაობს, მაგრამ ამას ფრაგმენტულად მოაქვს შედეგი და როგორც რესურსს, სახელმწიფო არ იყენებს. დანარჩენი სეგმენტები, რაც ამ გეგმაში იყო გათვალისწინებული, პრაქტიკულად, არ მუშაობს და, ძირითადად, ერთმანეთთან „პოლიტიკანობით“ ვართ დაკავებულნი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ კი ჩვენი პოლიტიკა საკმაოდ სუსტია.

ძალიან მნიშვნელოვანია ენერგეტიკული თემა და ესაა ერთადერთი ქმედითი საკითხი. სამი წლის განმავლობაში, აფხაზეთის ენერგოსისტემასთან დაკავშირებით, ძალიან ინტენსიუსი შეხვედრები გვქონდა აფხაზ კოლეგებთან და, სხვათა შორის, მივაღწიეთ იმ შედეგს, რომ დღეს მთელმა აფხაზეთმა იცის, რა მდგომარეობაშია აფხაზეთის ენერგოსისტემა, რომელიც კოლაფსის წინაშე დგას. ისიც იციან, რომ თუ არ შეიცვალა მდგომარეობა და ის შეთანხმება, რომლითაც ქართული მხარე ენგურის პოტენციალის 60%-ს, ხოლო აფხაზური მხარე – 40%-ს იყენებდა, არ ამოქმედდა, რადგან სინამდვილეში, ისინი 80%-ს იყენებენ... ახლა დგება მომენტი, რომ ასე ვეღარ მოიქცევიან!

ძალიან მნიშვნელოვანი იყო აფხაზური საზოგადოების ინფორმირება, თუ რა მდგომარეობაშია იქაური ენერგოსისტემა. ე.წ. მაინინგის, მოძველებული აპარატურისა და სადენების გამო, დენის 30%-ს კარგავენ. ამ დანაკარგის გამოა, რომ გალიდან მოყოლებული, ვიდრე გაგრამდე, ძაბვის ისეთი ცვალებადობაა, რომ ტელეფონს სადენში ვერ ჩართავ. აფხაზური საზოგადოების ბნელი ნაწილისთვის ეს იყო ქართული დივერსიის შედეგი, თუმცა როგორც იქნა, იქაურ პრესასა და საზოგადოებასთან მუშაობით მივაღწიეთ და აფხაზური საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რა მდგომარეობაა რეალურად.

აფხაზეთის საზოგადოება აგრესიულად არ არის განწყობილი ქართული მხარის მიმართ, ამ გადაწყვეტილების გამო, რადგან იციან, რომ ეს მათი ბრალია. დღეს რომ „მაინერებზე“ წერენ გაუთავებლად, ესეც ჩვენი დამსახურებაა. აფხაზური მხარე ხვდება, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ენგურის საკითხი, რომ ძველი შეთანხმება, რაც 60/40-ს გულისხმობდა, ამოქმედდეს. ეს იყო შვეიცარიელების მიერ დაფინანსებული პროგრამა და ჩართული გვყავდა რუსი ენერგეტიკოსები, რომლებიც მარტივად უხსნიდნენ აფხაზებს, როგორ იღუპებიან ამ ენერგოთავხედობის გამო და გადაუხდელობის გამო, რამ ოდენობის ვალი ედებათ რუსეთის მიმართ.

ყველაფერ ამით, იმის თქმა მინდა, რომ ეს საკითხიც რესურსი იყო და ვფიქრობ, უამრავი რესურსი არსებობს, მათ შორის, ჩვენი დასავლელი პარტნიორების მონაწილეობით, რომელზეც შეიძლება, ხელისუფლებამ შესაბამისი პოლიტიკა ააგოს და თუ მკითხავთ, რა ხდებაო, გიპასუხებთ, რომ არაფერი.

ლონდონის სასამართლოს ვერდიქტი – „იმედის“ მფლობელი ირაკლი რუხაძე კონსპირაციაშია მხილებული?!

მაკა რუხაძე

რატომ დააყადაღა ამსტერდამის სასამართლომ „იმედისა“ და GDS-ის მფლობელი ჰოლდინგური კომპანია და რა განცხადებას ავრცელებს კომპანიის ინგლისელი ადვოკატი

გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ქონებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ახალ ფაზაში გადავიდა. 2021 წლის 11 აგვისტოს, ამსტერდამის სასამართლომ ტელეკომპანიების – „იმედისა“ და GDS-ის მფლობელი ჰოლდინგური კომპანია Stichting Media Finance International-ის დაყადაღების შესახებ განჩინება მიიღო. ამსტერდამის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ლონდონში მიმდინარე სასამართლო პროცესს უკავშირდება. თავის მხრივ, ინგლისის სასამართლო, კომპანიების – Recovery Partners GP Limited-ისა და Revoker LLP-ის სარჩელის ფარგლებში ზიანის შეფასების სტადიაზე გადავიდა. საქმეზე მოპასუხეები არიან: ბიზნესმენი ირაკლი რუხაძე და მისი ბიზნესპარტნიორები – იგორ ალექსეევი, ბენჯამენ მარსონი, ასევე, მათ მიერ დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია Hunnewell Partners-ი. ამსტერდამის სასამართლო განმარტავს, რომ აგვისტოში მიღებული განჩინება შემაკავებელი ზომაა, რათა ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, მოპასუხეებმა ამ კომპანიის წილები არ გაასხვისონ. ლონდონელმა მოსამართლე სარა კოკერილმა საქმის ზიანის შეფასების ეტაპი 2021 წლის 18 ოქტომბერს დაიწყო.

სასამართლო დავის ქრონოლოგია

ბიზნესმენი ირაკლი რუხაძე, კომპანია Salford Capital Partners Interational-ის დირექტორი გახლდათ. რეალურად, ეს კომპანია ერთადერთი მიზნით შეიქმნა – ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, კომპანიას გარდაცვლილი ბიზნესმენის მრავალმილიარდიანი ქონება და აქტივები უნდა ემართა, მოეძიებინა და ოჯახისთვის დაებრუნებინა. აქტივების აღდგენისა და მოძიების მიზნით, Salford-მა კომპანიები – Recovery Partners GP Limited და Revoker LLP დააფუძნა. ამ კომპანიებში რუხაძის ბიზნესპარტნიორები მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ.

2018 წლის 1 ნოემბერს, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი სასამართლოს კომერციულ პალატაში, მოსამართლე სარა კოკერილმა დაადგინა, რომ გარდაცვლილი ბიზნესმენის აქტივების ფაქტობრივმა განმკარგავმა, ირაკლი რუხაძემ ის ვალდებულებები დაარღვია, რომლებსაც მას კომპანია Salford Capital Partners-ის დირექტორის პოსტი აკისრებდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ირაკლი რუხაძე არა მარტო Salford-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, არამედ, კონსპირაციაში შევიდა ამ კომპანიის წინააღმდეგ და შედეგად, ხელში ის აქტივები ჩაიგდო, რასაც წარსულში ბადრი პატარკაციშვილის მთავარი ფინანსისტი, იუჯინ ჯაფი და კომპანია Salfort Capital Partners International-ი განკარგავდნენ.

„ფორბს ჯორჯიას“ ინფორმაციით, 2018 წლის ნოემბერში, ლონდონში, უესტმინსტერის სააბატოს ტერიტორიაზე მდებარე სასამართლოს სასახლეში, საქმის მოსმენა ოთხი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. სარა კოკერილმა განაჩენში მიუთითა, რომ ირაკლი რუხაძემ სასამართლო დარბაზში იცრუა!

გამოცემისვე ცნობით, კომპანია Salford Capital Partners-ი 2001 წელს, ბადრი პატარკაციშვილისა და ბორის ბერეზოვსკის აქტივების განკარგვისთვის შეიქმნა. დაფუძნების დღიდან, Salford-ის 100%-იანი წილის მფლობელია იუჯინ ჯაფი. Salford Capital Partners-ი ერთადერთი კომპანია იყო, რომელიც ბადრი პატარკაციშვილს Wealth Managment-ის მომსახურებას უწევდა.

Salford-ის ხელმძღვანელი, იუჯინ ჯაფი პატარკაციშვილმა 2001 წლის აგვისტოში გაიცნო. იუჯინ ჯაფმა, იგივე ევგენი იოფემ საბჭოთა კავშირი 1989 წელს დატოვა და განათლების მისაღებად აშშ-ში გაემგზავრა. 1996 წელს, მან ჰარვარდის ბიზნესსკოლა დაამთავრა, რის შემდეგაც აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ის ქვეყნებში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტებში მუშაობდა.

„ამ პერიოდში, ბადრი პატარკაციშვილის უმთავრესი ბიზნესპარტნიორი ბორის ბერეზოვსკი გახლდათ. მათ ქონების უდიდესი ნაწილი 1990-იანი წლების დასაწყისში, პრივატიზაციის პირველი ტალღის დროს დააგროვეს. სულ მალე, ბერეზოვსკი Avtovaz-ის მსხვილი აქციონერი გახდა, პატარკაციშვილი კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში, Avtovaz-ის ერთ-ერთ საწარმოში დირექტორის მოადგილე იყო, ბერეზოვსკის ბიზნესპარტნიორი გახდა. 1994 წელს, ბერეზოვსკიმ რუსეთის საზოგადოებრივ მაუწყებელზე – ORT-ზე მოიპოვა კონტროლი, ბადრი პატარკაციშვილი იქაც მისი მოადგილე იყო. 2000 წლის ოქტომბერში, ბორის ბერეზოვსკიმ რუსეთი დატოვა, ამის მიზეზი ქვეყნის ახალ პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან ურთიერთობის დაძაბვა გახლდათ. იმის გამო, რომ პატარკაციშვილს ბერეზოვსკისთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, რუსეთის დატოვების გადაწყვეტილება მანაც მიიღო და 2001 წელს, პატარკაციშვილი საცხოვრებლად საქართველოში დაბრუნდა“, – ვკითხულობთ „ფორბს ჯორჯიაში“.

ლონდონში მიმდინარე სასამართლო პროცესის მთავარი განსახილველი საკითხი ვირჯინიის კუნძულების ოფშორში, Salford-ის დაქვემდებარებაში არსებული კომპანია Value Discovery Partners, შემოკლებით – VDP გახლდათ. VDP პარტნიორობის სახით დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია იყო, რომელიც საკუთარი ქოლგის ქვეშ, რამდენიმე კომპანიას აერთიანებდა. VDP-ის შემადგენლობაში შედიოდა 2004 წელს, გიბრალტარში დაფუძნებული კომპანია – New World Value Fund-ი. სწორედ ეს კომპანია ფლობდა ბადრი პატარკაციშვილის აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს. Salford-ი, შემოკლებით – SCPI, თავის მხრივ, VDP-ის კომპანიის მმართველი პარტნიორი იყო.

ცოტა რამ Salford-ის, იგივე SCPI-ის შესახებ

„ფორბს ჯორჯიას“ მასალების მიხედვით, SCPI-ის სათავო ოფისი ლონდონში იყო, რომელსაც იუჯინ ჯაფი ხელმძღვანელობდა. კომპანიას ოფისები ბელგრადში, მოსკოვსა და თბილისში ჰქონდა, რომლებსაც პატარკაციშვილის გარდაცვალების დროს, ირაკლი რუხაძე მართავდა. გავლენიან მილიარდერებთან კავშირის მიუხედევად, SCPI კუთვნილი აქტივების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა.

2008 წლის თებერვლის მდგომარეობით, SCPI-ის აქტივები ჰქონდა ოთხ ქვეყანაში – სერბეთში, საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში, რომელთა ინვესტიციების საერთო მოცულობა 1 მილიარდ აშშ დოლარს აღემატებოდა. უშუალოდ VDP-ის აქტივების ღირებულება კი 320 მილიონი აშშ დოლარი იყო.

Salford საქართველო, გარკვეულწილად, დისტანცირებული იყო SCPI-ის სათავო ოფისისგან. სასამართლო განაჩენის მიხედვით, Salford საქართველოს არავითარი ვალდებულება არ ჰქონდა, რომ VDP-ის აქტივები ემართა. ამასთან, Salford საქართველოს აქტივებიც არ იყო VDP-ის ნაწილი, ხოლო სპეციალური „ტრასტის“ (ნდობაზე დაფუძნებული იურიდიული გარიგება, – ავტ.) საშუალებით, მათ ირაკლი რუხაძე განკარგავდა. ამ აქტივებს შორის იყო ქვეყნის უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო კომპანია „მაგთი“ და წილი „სტანდარტ-ბანკში“, რომელიც SCPI-იმ 2005 წელს შეიძინა.

2008 წლის 12 თებერვალს, ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა. მილიარდერის მოულოდნელი გარდაცვალება მისი ოჯახისთვის უმძიმესი დარტყმა იყო. სარა კოკერილის განაჩენის მიხედვით, პატარკაციშვილს მისი ბიზნესი ოჯახისგან მკაფიოდ ჰქონდა გამიჯნული, რის გამოც ბიზნესმენის ოჯახის წევრებს, საკუთარი ქონების შესახებ მხოლოდ მინიმალური ინფორმაცია ჰქონდათ.

დასასრული მე-7 გვერდზე

ლონდონის სასამართლოს ვერდიქტი – „იმედის“ მფლობელი ირაკლი რუხაძე კონსპირაციაშია მხილებული?!



მე-6 გვერდიდან

მეტიც, პატარკაციშვილის ქონების გარკვეული ნაწილი არაფორმალური სახით არსებობდა და დოკუმენტურად მისი არსებობა თითქმის არ დგინდებოდა. ოჯახის წინაშე იდგა მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომ ჯერ ამ არაფორმალური აქტივებისთვის მიეგნოთ, ხოლო შემდგომ, მათზე საკუთარი უფლებების განსაზღვრისთვის მუშაობა დაეწყოთ. SCPI-ის გარდა, პატარკაციშვილის აქტივები თითქმის მიუწვდომელი იყო. მთავარ სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ბიზნესმენს ანდერძიც კი არ ჰქონდა დაწერილი.

პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ირაკლი რუხაძე ჩართული იყო მოლაპარაკებებში საქართველოს მთავრობასთან, რის შედეგადაც „სტანდარტბანკის“ აქტივები გაიყიდა, თუმცა იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ირაკლი რუხაძე Salford საქართველოს ხელმძღვანელობდა, ანგარიშვალდებული იყო მისი უშუალო უფროსის, იუჯინ ჯაფის მიმართ.

გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონებასთან დაკავშირებით მალე დაიწყო დავების სერია ჯერ ჯოზეფ ქეისთან (პატარკაციშვილის ნათესავი, რომელსაც არაფორმალური გარიგების საფუძველზე, მთელი მისი ქონების განკარგვა მიანდო), შემდეგ – ბორის ბერეზოვსკისთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის ინტერესებს იცავდა და Salford-ში 50%-იანი წილი ეკუთვნოდა. დავების სერია ამით არ ამოწურულა, მალე გამოჩნდა ოლგა საფონოვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ 1997 წელს, სანკტ-პეტერბურგში ცოლად გაჰყვა პატარკაციშვილს. საფონოვას განცხადებით, პატარკაციშვილის კანონიერი მეუღლე არა ინა გუდავაძე, არამედ, თვითონ იყო და ქონების 50%-ს ითხოვდა. პატარკაციშვილის ქონების ხელში ჩაგდება საქართველოს მაშინდელ მთავრობასაც სურდა – საკაშვილის მთავრობის დესტრუქციული ნაბიჯების ერთ-ერთი მაგალითი იყო კომპანია „ბორჯომის“ წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება და ამ კომპანიისთვის წყლის ჩამოსხმის ლიცენზიის შეჩერება.

რამდენიმე წლის განმავლობაში, კომპანია Salford-ი პატარკაციშვილის მრჩეველი და პარტნიორი იყო. Salford-ის აღმასრულებელი დირექტორისა და მფლობელის, იუჯინ ჯაფის ხელმძღვანელობით, სწორედ ეს კომპანია ეხმარებოდა პატარკაციშვილის ქვრივს, ინა გუდავაძეს ქონების დაცვაში. სამწლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ, ერთი მხრივ – Salford-სა და მეორე მხრივ – რუხაძეს, ალექსეევსა და მარსონს შორის, დავა წამოიჭრა, რის გამოც, 2011 წელს, მათი გზები გაიყარა.

ლონდონის სასამართლო მასალების მიხედვით, ირაკლი რუხაძის, ბენ მარსონისა და იგორ ალექსეევის ქმედებების შედეგად, Salford-ის მიერ დაფუძნებული კომპანიები მილიარდერის ოჯახისთვის აქტივების დაბრუნების საქმეს ჩამოშორდნენ, სამაგიეროდ, ეს ფუნქცია მათ მიერვე დაარსებულმა კომპანია – Hunnewell Partners-მა შეითავსა, განახორციელა კიდეც და აქედან მოგებაც კი მიიღო (?!).

ირაკლი რუხაძის შეთქმულება Salford-ის წინააღმდეგ

2018 წლის ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ირაკლი რუხაძემ და მისმა ბიზნესპარტნიორებმა ჩაიდინეს კომერციული შეთქმულება, რის შედეგადაც კომპანია Salford-ის მიერ დაფუძნებულმა ფირმებმა, უკვე გამზადებული მილიარდიანი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა დაკარგეს. მოსამართლე სარა კოკერილმა დაადგინა, რომ კომერციული შეთქმულების პროცესში მონაწილე პირებმა დაარღვიეს ფინანსური ინტერესების დაცვის (Fiduciary-ფიდუციალური) ვალდებულება, Salford-მა დაკარგა პროექტის განხორციელების შესაძლებლობა, რაც ირაკლი რუხაძის Hunewell Partners-მა მიითვისა.

ბრიტანული სასამართლოს გადაწყვეტილებით, Salford-ის მიერ დაფუძნებულ ფირმებს სრული უფლება აქვთ, მოითხოვონ არა მარტო Hunnewell Partners-ის მიერ მითვისებული პროექტები, არამედ, ამ პროექტების შედეგად მიუღებელი მოგებაც კი!

Salford-ის მიერ დაარსებული კომპანიების სარჩელის შესაბამისად, 2021 წლის 18 ოქტომბერს დაწყებულ პროცესზე, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა მოცულობის ბიზნესშესაძლებლობები გაუშვეს კომპანიებმა ხელიდან, სწორედ ამ კომერციული შეთქმულების, ასევე, ირაკლი რუხაძის, ბენ მარსონისა და იგორ ალექსეევის მიერ ფიდუციარული ვალდებებულებების დარღვევის შედეგად.

კომპენსაცია, რომლის მოცულობაც სასამართლომ უნდა დაადგინოს, ირაკლი რუხაძისა და მისი პარტნიორების, ასევე, მათ მიერ დაარსებული კომპანია Hunnewell Partners-ის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ანგარიშების საშუალებით ანაზღაურდება.

ირაკლი რუხაძისა და მისი საინვესტიციო ჰოლდინგის – Hunnewell Partners-ის საკუთრებაშია საქართველოს სიდიდით მესამე ბანკი – ლიბერთი ბანკი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, Stichting Media Finance International-ი, რომელიც ტელეკომპანიების – „იმედისა“ და GDS-ის 100%-იანი წილის მფლობელ „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ ფლობს, ასევე, „მაგთიკომისა“ და „ჰაიდელბერგცემენტის“ აქციები.

რა მოცულობის თანხის გადახდა მოუწევს ბიზნესმენ ირაკლი რუხაძესა და მის Hunnewell Partners-ს კომპანია Salford-ისთვის, ამას ბრიტანული სასამართლო დაადგენს. პროცესი, რომელიც მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს დაიწყო, რამდენიმე თვეს გასტანს.

პარალელურად, ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი Hunnewell Partners-ი განცხადებას ავრცელებს. კომპანიის მთავარმა მრჩეველმა, ინგლისელმა ადვოკატმა, მეთიუ ჯენკინსმა ამ განცხადებით უპასუხა ინფორმაცია, რომელიც ბოლო პერიოდში, საქართველოში ვრცელდება და ნიდერლანდებში (ამსტერდამში), ტელეკომპანია „იმედის“ აქციების დაყადაღებას ეხება:

„2016 წლიდან მოყოლებული, ტელეკომპანია „იმედის“ ბენეფიციარი მესაკუთრეები (საბოლოო მფლობელები) ინგლისის სასამართლოში, სამართლებრივ დავაში არიან ჩართულნი. ეს დავა არანაირი სახით არ ეხება „ტელეიმედის“ ან რომელიმე სხვა აქტივების ფლობას. ინგლისის სასამართლოში, საქმის წარმოების ფარგლებში, არანაირი მცდელობა არ ყოფილა, მხარეებს „იმედის“ ან რომელიმე სხვა ქონების წინააღმდეგ ედავათ. ამის მიუხედავად, ორი თვის წინ, მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, იყო მცდელობა (წინასწარ შეტყობინების გარეშე), ნიდერლანდების სასამართლოში შეეზღუდათ Hunnewell Partners-ი და ირაკლი რუხაძის მიერ „ტელეიმედის“ წილის მესამე პირისთვის დათმობა. ამ მცდელობას არანაირი იურიდიული გავლენა არ მოუხდენია არც Hunnewell Partners-ზე და არც ირაკლი რუხაძეზე. ასევე, ამ მცდელობას არავითარი გავლენა არ აქვს „ტელეიმედის“ საქმიანობასა და მისი მფლობელობის რომელიმე ასპექტზე, Media Finance Group BV-ის ჩათვლით. მხარეს, რომელიც ცდილობდა ამ შეზღუდვას აგვისტოში, ეს ზედმიწევნით კარგად უნდა ესმოდეს, რადგან ჩვენმა ნიდერლანდელმა იურისტებმა, მათ წარმომადგენლებს მკაფიოდ აუხსნეს არსებული ვითარება. თუმცა, გვესმის რა, ამ მცდელობის უარყოფითი „პიარ“ ღირებულება, უკვე შევიტანეთ საჩივარი ნიდერლანდების სასამართლოში, რათა სასამართლოს ყურადღება მივაპყროთ აგვისტოს სარჩელის არაზუსტ და მცდარ ბუნებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ, ეს გაუგებრობა დავასრულოთ“.

შეიძლება თუ არა ექსპერტიზით სექსუალური ძალადობის დადგენა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ინტერვიუ მაია ნიკოლეიშვილთან, პაპის მიერ, 13 წლის გოგონას შესაძლო გაუპატიურების საქმეზე

შიდა ქართლში მომხდარი უმძიმესი დანაშაულის საქმეზე „ვერსია“ ჟურნალისტურ გამოძიებას აგრძელებს – 13 წლის გოგონა, 53 წლის პაპას გაუპატიურებაში ადანაშაულებს და ჩვენებაში აცხადებს, რომ მამის მამა მასზე თითქმის 5 წლის განმავლობაში ძალადობდა. ამის შესახებ ტყუპისცალმა გოგონამ დედას 2021 წლის 10 ოქტომბერს უამბო. 11 ოქტომბერს, დედამ საჩივარი პოლიციაში შეიტანა, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ძალადობაში ბრალდებული მამაკაციც რამდენიმე საათში დააკავეს. გორის სასამართლომ ბრალდებულს წინასწარი 45-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა ექსპერტიზის კვლევა, რომლის დასკვნაც ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ბრალდებულის ადვოკატ ზურაბ თოდუას ინფორმაციით, ექსპერტიზის მიხედვით, დაზარალებულის საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ არის. აღნიშნულზე „ვერსია“ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს ესაუბრა.

– ქალბატონო მაია, ადვოკატ თოდუას თქმით, ბავშვი ძალადობას ორ ნაწილად ჰყოფს – 8-დან 10 წლამდე, ადგილი ჰქონდა გარყვნილ ქმედებას, 10-დან 13 წლამდე – სავარაუდო მოძალადე დაზარალებულთან მრავალჯერადად ამყარებდა სექსუალურ კავშირს. ადვოკატის თქმითვე, ექსპერტიზის მიხედვით, საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არაა. თუ ეს მართალია, შეიძლება, რომ არაერთი სექსუალური აქტის შემდეგ, საქალწულე აპკის მთლიანობა შენარჩუნდეს და საერთოდ, რა შეიძლება გამოიკვეთოს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით?

– ძალიან მიჭირს ამაზე წინასწარ საუბარი. უმჯობესი იქნება, ექსპერტიზის პასუხის მერე ვისაუბროთ, რეალურად არის თუ არა დარღვევები და იმაზე აეწყოს ნებისმიერი მსჯელობა, მაგრამ ზოგადად, ძალიან საფრთხილოა ამ ასაკში სქესობრივ კავშირზე საუბარი მხოლოდ მონათხრობით. რა თქმა უნდა, არავის ვამართლებ და თუ მართლა ასე იყო, საშინელებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ბავშვთა ასაკი. საერთოდ, დღეს ბავშვები ბევრად განვითარებულნი არიან, წვდომა აქვთ ძალიან დიდ ინფორმაციაზე, სქესობრივი აქტის დეტალებსაც ვიზუალურად იცნობენ ინტერნეტის საშუალებით და აქედან გამომდინარე, აღწერა, შესაძლოა, სინამდვილე იყოს და შესაძლოა, – ფანტაზია. ბავშვთა ასაკში ფანტაზია საკმაოდ რთული გასარჩევია და ფსიქოლოგებისთვის ძალიან მძიმე სამუშაოა, რომ გაირჩეს ფანტაზია და რეალობა. ბავშვი ხშირად ფანტაზიას თვითონვე იჯერებს და რეალობად აღიქვამს, ეს ბავშვთა ფსიქოლოგებისთვის ცნობილია.

ერთი, ძალიან საშინელი შემთხვევა მახსენდება, რომელიც კასპში მოხდა. გოგონა ამბობდა, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა გააუპატიურა. ეს მამაკაცი დააკავეს, შემდეგ ისე მოხდა, რომ პოლიციის შენობიდან გადაჰყავდათ, ამ დროს ხალხმა გაიტაცა ეს ადამიანი და სოფელმა ჩაქოლა. დაიღუპა მამაკაცი და მერე მოვიდა ექსპერტიზის პასუხი, რომ საქალწულე აპკი დარღვეული არ იყო. ასე რომ, ძალიან საფრთხილოა, თუ არ გაქვს უტყუარი მტკიცებულებები. ფსიქოლოგების სერიოზული ჩარევის გარეშე, მხოლოდ ჩვენებაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ძნელი იქნება.

– თუ საქალწულე აპკი დარღვეული არაა, ექსპერტიზით სხვა სახის სექსუალური ძალადობის დადგენა შესაძლებელია?

– იქ, სადაც სასამართლო მედიცინის შესაძლებლობები დასრულდება, იხსნება სხვა სპეციალისტების შესაძლებლობა, კერძოდ, ფსიქოლოგების. დაახლოებით, მსგავსი შემთხვევა მოხდა უცხოეთში, ერთ-ერთ ქვეყანაში, 8 წლის ბიჭმა თქვა, რომ თანასკოლელები ხშირად აუპატიურებდნენ, რასაც აღწერდა დეტალურად. დაზიანება ვერ ნახეს იმიტომ, რომ დრო იყო გასული. არც უხეში დაზიანებები იყო, რაც შეიძლება, დარჩენოდა. შემდეგ ჩაერთნენ ფსიქოლოგები, ვიდეოგადაღების ქვეშ გამოკითხეს, გარკვეულ კითხვებს უსვამდნენ. არ მინდა, დეტალებზე ვისაუბრო, მაგრამ ამ გამოკითხვის შემდეგ, ცალსახად გაიცა პასუხი, რომ იმას, რასაც ეს ბავშვი ჰყვებოდა, ადგილი არ ჰქონია და სამწუხაროდ, ეს იყო ფანტაზია, რასაც ძალიან ბევრი ადამიანის ავტორიტეტი ეწირებოდა.

სხვათა შორის, მოვითხოვე ბრალდებულების სქესობრივი სიმწიფის განსაზღვრა და აღმოჩნდა, რომ 6 ბავშვიდან, სამი სქესობრივ სიმწიფემდე მიღწეული არ იყო, ამ დროს, ეს ბავშვი ისეთ დეტალებს აღწერდა, რასაც ის ბავშვები, უბრალოდ, ვერ შეძლებდნენ.

მახსოვს, კომისიაში 7 ადამიანი ვიყავით, ისეთ კითხვებს ვუსვამდით, რომლებშიც უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ ის ბავშვი იყო და ყველაფერ ამის ვიდეოგადაღება მიმდინარეობდა. თუმცა, სადაც დამთავრდა სასამართლო მედიცინის შესაძლებლობა, იქიდან ჩაერთო ფსიქოლოგი და ცალსახა გადაწყვეტილება იყო მიღებული. გაირკვა, რომ ამ ბავშვის მიმართ ბულინგი ნამდვილად ხდებოდა, მაგრამ ბავშვმა ბულინგს სექსუალური ძალადობის შეფერილობა მისცა.

ძალიან რთულია, ადამიანი უსამართლოდ გაწირო, ეს ხომ საშინელებაა და ასევე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ თუ მართლა არის ასეთი ადამიანი, ის გარეთ დარჩეს, ძალიან საპასუხისმგებლო საკითხია. ამიტომ, პირადად მე, ამ შემთხვევაში, ჩამოვიყვანდი ბავშვთა ფსიქოლოგებს და პროფაილერ-ვერიფიკატორებს, რომლებსაც ტყუილის დეტექციის სამუშაო გამოცდილება გააჩნიათ ბავშვთა ასაკის პირებთან იმიტომ, რომ ასეთ საქმეში შეცდომის დაშვება გამორიცხულია.

სამართალი

№39 27 ოქტომბერი 2021 წ

მკვლელობა მტკვარზე

რატომ მოითხოვა ქალმა გარდაცვლილ ქმართან განქორწინება – დაუგეგმავი შურისძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

„მტკვარი რომ დააშრო, იმდენ რამეს ნახავს ადამიანი, შესაძლოა გაგიჟდეს“, – მითხრა ერთხელ ერთმა გამოცდილმა მაძებარმა, როცა საქართველოს მთავარმა მდინარემ გვამი გამორიყა. მტკვარში, ნაგავთან ერთად, საქართველოს მოსახლეობა ბევრ რამეს ყრის და არცთუ იშვიათად, მდინარე დანაშაულის დასაფარად საუკეთესო ადგილია. თუნდაც ერთ-ერთი გახმაურებული მკვლელობა ავიღოთ – გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის იარაღს, რამდენიმე დღის განმავლობაში, მყვინთავები, სწორედ მტკვარში ეძებდნენ, თუმცა ამაოდ. დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მდინარის ფსკერზე დღესაც განისვენებს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან და სამწუხაროდ, პოვნის შანსიც ნულია.

80-იანი წლების მიწურულს, მტკვარმა ახალგაზრდა კაცის სხეული გამორიყა. მამაკაცს ორივე ხელი მკლავთან ჰქონდა მოწყვეტილი, თავის ქალა კი – ბლაგვი საგნით ჩამტვრეული. ექსპერტებმა ზუსტად ვერ თქვეს, ხელები მოკვლამდე მოაჭრეს თუ მერე, მაგრამ იმას კი ამტკიცებდნენ, კიდურების მოჭრასა და სიკვდილს შორის (ან პირიქით), ძალიან ცოტა დრო გავიდაო. ექსპერტიზა დაზუსტებით ვერც იმას ამბობდა, რით იყო მკლავები მოჭრილი. ფაქტი ის გახლდათ, რომ ორივე მკლავი ბასრი იარაღით და ერთი დარტყმით გადაჭრეს, მაგრამ იყო თუ არა ეს ნაჯახი, ვერ ადასტურებდნენ.

ექიმებს ეჭვს ჭრილობის კუთხე უჩენდა ანუ აქამდე ანალოგიური ჭრილობა არ ენახათ.

„გამოცდილებით ვიცოდი, კიდურებს ორ შემთხვევაში ჭრიდნენ. პირველი – არ სურდათ თითის ანაბეჭდებით გვამის იდენტიფიცირება მოგვეხდინა და მეორე, როცა მსხვერპლი მკვლელს დაკაწრავდა და ფრჩხილებში მისი კანის ან სისხლის კვალი რჩებოდა. ბედის ირონიით, ეს ის შემთხვევა იყო, როცა მკვლელს არც ერთი აინტერესებდა და არც – მეორე, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილის ვინაობა მალევე დაადგინეს. ის თბილისის მაცხოვრებელი, არაფრით გამორჩეული მოქალაქე იყო, რომელსაც კრიმინალთან შეხება არ ჰქონდა და ამას არა მარტო მისი მეგობრები და ცოლი ადასტურებდნენ, არამედ, აგენტურული ქსელიც ერთხმად ამბობდა, გარდაცვლილი კრიმინალურ გარჩევებსა თუ ამბებში არასდროს გახვეულაო.

ცოლმა ისიც თქვა, ჩემს ქმარს ძალიან უყვარდა ნავით სეირნობა, რისთვისაც სპეციალური შეკვეთით რკინის ნავიც კი გააკეთებინა – საკუთარი გემოვნებითა და ნახაზებით, იმით სეირნობდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი ამინდი იდგაო. მისივე თქმით, ნავს ქმარი თბილისის გასასვლელში, სანაპიროზე ტოვებდა და ერთ-ერთ იქაურ მოსახლეს თვეში 30 მანეთს უხდიდა, რომ მიეხედა. მაშინ ნავის მოპარვის საშიშროება არ არსებობდა, რადგან, უბრალოდ, არავის სჭირდებოდა, თანაც სად უნდა წაგეღო კუსტარულად აწყობილი ნავი, როცა პატრონი ყველა ვარიანტში იცნობდა?!

დაკითხეს ის პირი, რომელიც ნავს პატრონობდა და არ დამალა, რომ სამი დღის წინ, საღამოს, ნავის პატრონი მივიდა, ნავი წაიყვანა და აღარ დაბრუნებულა. მან ისიც თქვა, საღამოს, მტკვარზე კატერი შევნიშნე, რომელიც ზემოთ, დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა, თუმცა ვინც კატერს მართავდა, ჩემი ნაცნობი ნამდვილად არ იყოო.

ახლა ის იყო გასარკვევი, ვინ მართავდა კატერს? სხვათა შორის, მაშინ მტკვარზე კატერიც იშვიათი შემთხვევა გახლდათ და რაც მთავარია, უმიზეზოდ არავინ დადიოდა. პარალელურად, სამართალდამცავებმა მამაკაცს, ვისაც ნავს საპატრონოდ უტოვებდნენ, დეტალურად აღაწერინეს ნავი, ზომა, ფორმა, ფერი, რათა წარმოდგენა შექმნოდათ, რას ეძებდნენ და მტკვრის სანაპიროს სამართალდამცავები ორი დღის განმავლობაში ჩხრეკდნენ, თუმცა აღწერილ ნავს ვერსად მიაგნეს. ვერც ის კაცი იპოვეს, ვინც კატერს მართავდა, რადგან შესაბამის სამსახურში ყველა უარზე იყო, რა კატერი, ჩვენი ნებართვის გარეშე, მტკვარში ფეხს ვერავინ ჩაჰყოფს, არათუ კატერით ისეირნოსო.

როცა საქმე წინ ვერ მიდის, ქალი უნდა ეძებო – ასე გადაწყვიტეს გამომძიებლებმა და გარდაცვლილის მეგობრები დაკითხეს. ყველამ თავი გაიქნია, ოჯახის ერთგული იყო, რა საყვარელი, ზედმეტ სიტყვას არავის ეტყოდაო. მხოლოდ ერთმა თანამშრომელმა ქალმა გაიხსენა, რამდენიმე თვის წინ, ქმარს ახლდა სათევზაოდ და დაინახა, როგორ ასეირნებდა ნავით გარდაცვლილი მამაკაცი უცხო ქალს. ქალი დაბეჯითებით ამბობდა, მის ცოლს კარგად ვიცნობ და ეს ცოლი არ იყოო. ამხელა თბილისში ქალის ძებნა, მით უმეტეს, როცა მისი გარეგნობაც კი არ იცოდნენ ნორმალურად, აბსურდი იყო, თუმცა გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს ქალი, შესაძლოა, იმ კაცსაც ენახა, ნავს რომ იტოვებდა. კაცმა ჯერ თავი გადააქნია, ქალი არ მინახავსო, მერე კი კეფა მოიქექა და ჩუმად თქვა, მგონი, იმ ქალს ეძებთ, გაგრძელებაზე რომ ცხოვრობს, ვნახე ერთი-ორჯერ, მაგრამ მაგ ქალს ქმარი ჰყავს და ოჯახს ნუ დაანგრევთო.

ქმრიანი ქალის თემა ბევრად საინტერესო გახლდათ, ამიტომ სამართალდამცავები მითითებულ მისამართზე დაუპატიჟებლად მივიდნენ და ქალი დაკითხეს. გამომძიებლებს არ გამოპარვიათ, როგორ ცდილობდა ქალი თავსაფრის კუთხით მარცხენა თვალის დამალვას, სადაც გვარიანი სილურჯე ეტყობოდა. ქალმა არ უარყო მამაკაცთან ურთიერთობა, მაგრამ ისიც თქვა, ჩემი ქმარი არაფერ შუაშია, ერთი კვირაა, მივლინებითაა წასული აფხაზეთის მხარეს, კატერები აქვს სარემონტოო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან კაცს კატერებთან შეხება ჰქონდა და თავისუფლად შეეძლო, რომელიმე კატერი, უბრალოდ, გამოეყვანა, მკვლელობა ჩაედინა და უკან დაებრუნებინა.

სამართალდამცავები ისევ კატერების კლუბში მივიდნენ.

„რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილს ვიცნობთ, ჩვენი მთავარი ხელოსანია, მაგრამ ერთი კვირაა, არ გვინახავს, როგორც გვითხრა, აფხაზეთშია წასული მივლინებით“, – ეს იყო, რაც გამომძიებელს უთხრეს, მაგრამ აფხაზეთში გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ეჭვმიტანილი სამი დღის ჩასული იყო და მანამდე სად იმყოფებოდა, არ იცოდნენ.

კაცის დაკავება გადაწყდა და ის სოხუმის მილიციამ დააპატიმრა, მეორე დღეს კი „ვარონკით“ თბილისში ჩამოიყვანეს.

„ეჭვი მქონდა, რომ ცოლი მღალატობდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, ვისთან. ამიტომ დავიბარე, მივდივარ-მეთქი, სამსახურშიც ასე ვთქვი და ერთ-ერთი კატერი წამოვიყვანე, იქვე ვცხოვრობ. მესამე დღეს გამოვიდა ჩემი ცოლი სახლიდან, ნავში ვიღაც კაცს ჩაუჯდა და გაისეირნეს. იმავე ნავში ჰქონდათ ურთიერთობა, რამაც გამაბრაზა. დაველოდე, სანამ ცოლი შინ დაბრუნდებოდა და მამაკაცის შეშინება გადავწყვიტე, კატერით უნდა დავჯახებოდი და შემეშინებინა. მას ხელები დაბლა ჰქონდა ჩამოშვებული, ნავი, ალბათ, რაღაცას გამოედო, როცა გვერდით გავუარე და კატერით გავეხახუნე. რომ გავხედე, ხელები აღარ ჰქონდა, თავისივე აწყობილ ნავს მჭრელი კუთხეები ჰქონდა, რაც არ ვიცოდი. ისე ღრიალებდა, მივხვდი, მთელ შემოგარენს გააღვიძებდა. ახლოს მივედი, მიცნო და გინება დამიწყო. ეს ვეღარ მოვითმინე, თავში მისივე ნიჩაბი ჩავარტყი, წყალში ჩავაგდე და ნავიც იქვე ამოვაყირავე. შემდეგ, შინ დავბრუნდი, ცოლს ვუთხარი, რაც მოხდა, იმასაც დავპირდი, თუ გაამხელ, მოგკლავ-მეთქი და პროფილაქტიკის მიზნით, შემოვარტყი კიდეც“, – განაცხადა დაკავებულმა.

ნავი მალე იპოვეს და ისიც დადასტურდა, რომ მოჭრილი ხელების უცნაური კვეთა, სწორედ ნავის კუთხისა და კატერის გვერდის შეჯახების შედეგი იყო.

სასამართლომ, პრაქტიკულად, ყველა შემამსუბუქებელი გარემოება გაითვალისწინა და მკვლელობაში ეჭვმიტანილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ყველაფერი ამით არ დასრულებულა. გარდაცვლილი მამაკაცის მეუღლე სამართალდამცავებთან მივიდა და განუცხადა, რომ მკვდარ ქმართან განქორწინება სურდა. ძლივს დაარწმუნეს თანამშრომლებმა, რომ ასეთი რამ შეუძლებელი იყო და გარდაცვლილს ვერ დაშორდებოდა.

ბათო ჯაფარიძე

ცოლმა ბიზნესმენი ქმარი ციანიდით მოკლა



როგორ დააღწია დამნაშავემ თავი მართლმსაჯულებას – 90-იანი წლების გახმაურებული კრიმინალური საქმე

90-იანი წლების თბილისში მკვლელობით ვერავის გააოცებდით. ადამიანები ერთმანეთს დაუნდობლად ხოცავდნენ და ხოცავდნენ ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ – ქუჩაში, რესტორნებში, სადარბაზოებში, სახლებში... სამართალდამცავები ვერაფერს ცვლიდნენ და ყველაზე მეტად საკუთარ სიცოცხლეს უფრთხილდებოდნენ, რადგან ნებისმიერს მარტივად შეეძლო, იარაღი ამოეღო და მათი მიმართულებით დაუფიქრებლად ესროლა. იარაღი კი მაშინ ძალიან იაფი ღირდა – „კალაშნიკოვს“ 70-დან 100 დოლარის ფარგლებში იყიდდით, თავისი მჭიდითა და ტყვიებით. ე.წ. საძმოებსა თუ უბნებს შორის დაპირისპირებას ახალგაზრდები ეწირებოდნენ და განმკითხავი არავინ იყო. ასე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც – ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსული საქმოსანი ავტომანქანიდან გასროლით მოკლეს, თუმცა...

„ეს არ იყო ტიპური მკვლელობა. საქმოსანმა ზუსტად იცოდა, რომ მასზე ნადირობდნენ, ამიტომ ჯავშანჟილეტი ეცვა და დაცვის ორი წევრიც ახლდა. კაცს სამი ტყვია მოხვდა, სამივე ჯავშანჟილეტში და როცა დაცვამ საპასუხო ცეცხლი გახსნა, თავდამსხმელები გაიქცნენ. საქმოსანი აზრზე მალე მოვიდა, გაიღიმა, ჯავშანჟილეტმა მიშველაო და... თვალები სამუდამოდ დახუჭა“, – იხსენებს პოლიციის პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულმა ექიმმა ივარაუდა, რომ ჯავშანჟილეტმა მამაკაცი კი დაიცვა, მაგრამ ტყვიის დარტყმის ძალამ გულის გაჩერება გამოიწვია. ამას ვარაუდობდნენ მრავლისმნახველი პოლიციელებიც და იხსენებდნენ, რომ ანალოგიური შემთხვევები ადრეც ჰქონდათ, თუმცა გვამის გაკვეთამ და ექსპერტიზის დასკვნამ ყველაფერი არია – მამაკაცი ციანიდის დოზით იყო მკვდარი. ექსპერტიზის დასკვნაში ისიც ეწერა, რომ კაცი ციანიდის მიღებიდან, მაქსიმუმ, 5 წუთი იცოცხლებდა, რადგან დოზა დიდი იყო და პირდაპირ კუჭში მოხვდა. ექსპერტიზის დასკვნამ სამართალდამცავები დააიმედა – დაცვის წევრებისგან იცოდნენ, რომ „საქმოსანი“ რესტორანში, დაახლოებით, ნახევარი საათის განმავლობაში სადილობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საწამლავი სწორედ აღნიშნულ დაწესებულებაში მიაწოდეს. ამიტომ, დაკითხვა რესტორნის დირექტორით დაიწყეს, რომელიც საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალი გახლდათ.

„მკვლელი სხვაგან უნდა ეძებოთ. ეს კაცი ჩემი საქმრო იყო. ვიცი, რომ ცოლი ჰყავს, მაგრამ ცოლს შორდებოდა და მე მოვყავდი. რესტორანიც მან მიყიდა, ბინაც... გაიკითხეთ, თბილისი პატარა ქალაქია, ყველა გეტყვით, ვინ ვარ მე და ვინ იყო ეს კაცი ჩემთვის“, – განაცხადა ქალმა.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებლები საქმეს ბოლომდე მიჰყვნენ და ისიც გაიგეს, რომ კაცი მართლა აპირებდა ცოლთან დაშორებას და ამ ქალის მოყვანა სურდა. მეტიც, მას ადვოკატიც ჰყავდა აყვანილი და ქონების უდიდეს ნაწილს პირველ ცოლსა და შვილს უტოვებდა, ახალ ცხოვრებას კი გვარიანად შესუსტებული კაპიტალით იწყებდა. რესტორნის დირექტორმა გამორიცხა ციანიდის იქ მიღება, რადგან საყვარელ მამაკაცს საკვებს ყოველთვის პირადად უმზადებდა, პირადად მიჰქონდა და პირადად აკონტროლებდა, რომ თუ რამე მოუნდებოდა, თავადვე მიეტანა. ეს დაცვამაც დაადასტურა და ისიც აღნიშნა, რომ კაცს მარტო უყვარდა სადილობა და როცა სუფრას გააწყობდნენ, მის მაგიდას არავინ ეკარებოდა, იჯდა თავისთვის და ჭამდა, ორი მაგიდის იქეთ კი დაცვის წევრები ისხდნენ.

ქალმაც და დაცვის წევრებმაც დაადასტურეს, რომ იმ დღეს მაგიდას არავინ მიახლოვებია. წაიღეს საკვების ნარჩენები, თუმცა ციანიდი ერთ მათგანშიც არ აღმოჩნდა. ის ჭიქაც კი, საიდანაც კაცი წყალს სვამდა, სრულიად სუფთა იყო.

ამის შემდეგ გამომძიებლებმა უკვე ექსპერტებს მიაკითხეს და ახალი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვეს. ახალი ვერაფერი გაიგეს – ექსპერტები ჯიუტაად ამტკიცებდნენ, რომ ციანიდი კაცის ორგანიზმში საკვები გზით მოხვდა და გარდაცვალებამდე, მაქსიმუმ, ხუთი წუთით ადრე მიიღო.

სამართალდამცავები იმასაც ხვდებოდნენ, რომ ასე ერთ ხმაში, ვერც დაცვა მოიტყუებოდა, ვერც – რესტორნის მეპატრონე, მით უმეტეს, რესტორნის მეპატრონეს საბაბი არ ჰქონია საყვარელი მამაკაცი მოეკლა და რაც მთავარია, ამას რესტორანში არ გააკეთებდა, სადაც ყველა მიხვდებოდა, რომ ციანიდი ორგანიზმში საკვები გზით მოხვდა.

პარალელურად, ძალოვნებმა იმდენი მოახერხეს, რომ გაიგეს დაქირავებული ქილერების ვინაობა და დააკავეს ერთ-ერთი დაჯგუფების წევრი, რომელსაც სურდა, რომ გარდაცვლილის ბიზნესი „დაეთრია“. მან აღიარება კი „გააკეთა“, მაგრამ არაფერი იცოდა ციანიდზე, მეტიც, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, არც ის იცოდა, ციანიდი რა იყო და რისთვის გამოიყენებოდა.

„ცოლის დაკითხვა გადავწყვიტეთ. მან არ დამალა, რომ ზუსტად იცოდა საკუთარი ქმრის განზრახვა და შეგუებული იყო, რომ გაშორდებოდა, მაგრამ მოკვლის საბაბი არ ჰქონდა, რადგან ბიზნესის უდიდესი ნაწილი სწორედ მას რჩებოდა და შვილის გაზრდის პრობლემა არ დაუდგებოდა, თანაც კაცი შვილზე გიჟდებოდა და მას უპატრონოდ არ მიატოვებდა. რა უნდა მექნა? – უკან წამოვედით და მას შემდეგ ამეკვიატა ფიქრი თუ შეგრძნება, რომ გარდაცვლილის სახლში, ცოლის დაკითხვის დროს, ვნახე რაღაც ისეთი, რაც შეიძლება, გასაღები ყოფილიყო. თავში ათასნაირად ვამუშავებდი ყველა დეტალს, მაგრამ ვერ ვიხსენებდი. ასეთ დროს, იმავე ადგილზე დაბრუნება არ ვარგა – ნივთებს მიაშტერდები და საბოლოოდ, აირევა ყველაფერი. ამიტომ, უნდა იფიქრო და ელოდო, როცა ტვინი თავისით ამოაგდებს იმას, რასაც ფიქრობ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილი დამარხეს, ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა, სამართალდამცავებსაც აღარავინ „აწვებოდა“, საქმე გახსენითო, ჰყავდათ შემკვეთი და შემსრულებელი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ რეალური მკვლელი თავისუფლებაზე დადიოდა.

„კუჭის ტკივილი მაწუხებდა და ცოლმა საიდანღაც აბები მოიტანა, ეს შველის, უნდა მიიღოო. ზოგადად, წამალს იშვიათად ვიღებ, არ მიყვარს და ამიტომ, აბებსაც უნდოდ შევხედე. ცოლი შემიჩნდა, დახედე მაინც, არაფრის გემო არ ექნება, კაფსულებშია წამალიო და მეც ჩავხედე. ჰოდა, სწორედ მაშინ გამინათდა გონება, დაახლოებით, ანალოგიური კაფსულები გარდაცვლილის ცოლის სახლში ვნახე. სამსახურში ენთუზიაზმით აღსავსე მივედი, დაკითხვაზე რესტორნის მეპატრონეს დავუძახე და ერთადერთი კითხვა დავუსვი – დალია თუ არა წამალი მამაკაცმა რესტორნიდან გამოსვლამდე და რა ფორმა ჰქონდა აბს?!“ – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რესტორნის მეპატრონემ პირდაპირ თქვა, ჩემს მომავალ ქმარს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, ამიტომ დღეში ერთ აბს, უფრო სწორად, კაფსულას იღებდა და ყოველთვის ჭამის შემდეგო. იმ დღესაც წესისამებრ დალია და მთელი კოლოფი თან რომ არ ეტარებინა, ხელსახოც ქაღალდში გახვეული, თითო ცალობით დაჰქონდაო. სამართალდამცავები ცოლთან მივიდნენ და პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრეს, რომ მას ქმრის მკვლელობისთვის აკავებდნენ. ქალმა ყველაფერი უარყო, გამომძიებლებს ფანტაზია შეუქო, მაგრამ სამართალდამცავებს უკვე მისი მეგობარი ქალი ჰყავდათ დამუშავებული, რომელმაც აღიარა, რომ მკვლელობამდე ორი კვირით ადრე, მეგობარს ციანიდი მისცა, რომელიც მის ლაბორატორიაში მოიპოვებოდა.

„ჩემი ქმარი არავინ იყო, საერთოდ არავინ და ბიზნესი მე დავაწყებინე, მამაჩემის ფულით. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ის ქალი არ გამოჩნდა და ამანაც განქორწინება არ გადაწყვიტა. სინდისი მაქვს და ბიზნესის უდიდეს ნაწილს შენ გიტოვებო, რომ მითხრა, კინაღამ ტვინში სისხლი ჩამექცა. ვერ ვაპატიებდი ასეთ შეურაცხყოფას“, – თქვა ქალმა.

სასამართლოზე კი ყველაფერი უარყო. ჩვენება შეცვალა მისმა მეგობარმაც და გამოძიებას ბრალის წარსადგენად აღარაფერი ჰქონდა. როგორც შემდეგ გაირკვა. სწორედ ქმრის ბიზნესის ნაწილი გაასხვისა ქალმა, რომ მართლმსაჯულებას ხელიდან დასხლტომოდა და ეს გადასარევად გამოუვიდა. ბიზნესმენის მკვლელობისთვის მსროლელები გაასამართლეს, ქალმა კი მშვიდად განაგრძო ქვრივის როლის თამაში და ქმრის ბიზნესის მართვა.

როგორ გახდა გავლენიანი ექიმის ქალიშვილი ცნობილი კრიმინალი

ქირურგის ოჯახის სისხლიანი დრამის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

გაზის გამათბობლით მომხდარი ტრაგედიები ბოლო წლებში მომრავლდა. ადრე კი ასეთი შემთხვევები იმ მარტივი მიზეზის გამო არ ხდებოდა, რომ გაზის გამათბობლები, უბრალოდ, არ არსებობდა. კორპუსები და კერძო სახლები ცენტრალური გათბობით – თუჯის რადიატორებითა და ცხელი წყლით თბებოდა, სოფლებში კი შეშის ღუმელები ედგათ. სწორედ ამიტომ, თუ კორპუსში გაზის სუნს იგრძნობდა მოსახლეობა, მაშინვე შესაბამის სამსახურში რეკავდა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ სადღაც ჟონავდა, ან... ვიღაცამ თავი მოიკლა, თუმცა საბედნიეროდ, ეს ერთეული შემთხვევები იყო.

„თბილისის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლებმა დარეკეს და განაცხადეს, რომ სადარბაზოში გაზის სუნი იდგა და რაც მთავარია, იმ ბინიდან, საიდანაც სუნი გამოდიოდა, კარს არავინ აღებდა. ამიტომ, შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ჩვენ, ოპერმუშაკებიც წავედით. ბინის კარი შევამტვრიეთ, შიგნით შესულებს კი სამზარეულოს კარი ჩაკეტილი დაგვხვდა, გაზქურა მთლიანად გახსნილი იყო, საშინელი სუნი იდგა. იატაკზე ახალგაზრდა, ძალიან ლაამაზი ქალი ესვენა, მაგიდაზე კი სამსიტყვიანი წერილი იდო – „ასე აღარ შემიძლია“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, გარდაცვლილის ქმარსაც დაურეკეს, ცნობილ ექიმს, რომელიც სასწრაფოდ მოვიდა, ჯერ ცოლის უსიცოცხლო სხეულს დახედა, პულსი შეუმოწმა, დარწმუნდა, რომ გარდაცვლილი იყო, მერე – წერილს და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ახლა ამის დრო იყო, ეს შტერი ქალი!“

სამართალდამცავებმა ერთმანეთს ჩუმად გადახედეს და არაფერი უთქვამთ.

ექსპერტიზის დასკვნით, ქალი გაზის ინტოქსიკაციით გარდაიცვალა და ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა. გადაამოწმეს ქმრის ალიბიც – მთელი დღე ოპერაციას აკეთებდა და სწორედ საოპერაციოდან გამოვიდა, როცა ცოლის გარდაცვალების შესახებ აუწყეს, მაგრამ გვამთან ნათქვამი ფრაზა გამომძიებლებს მოსვენებას არ აძლევდათ და ამიტომ, ქმარს პირდაპირ ჰკითხეს, რას გულისხმობდა. მან კი მშვიდად აუხსნა, რომ ერთ კვირაში, საზღვარგარეთ მივლინებით მიდიოდა, ცოლის თვითმკვლელობა კი ამ შესაძლებლობას სპობდა. სამართალდამცავებმა ისიც გაარკვიეს, რომ ექიმს ახალგაზრდა, 18 წლის საყვარელი ჰყავდა და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა. ცოლის სიკვდილი მისთვის ერთგვარი შვებაც კი გახლდათ, ამიტომ გამორიცხული არ იყო, ცოლმა საყვარლის შესახებ შეიტყო და სუიციდი გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, გამომძიებლებმა დაკითხვაზე გოგონაც დაიბარეს და...

„გემუდარებით, მომაცილეთ ეს მონსტრი. მას, უბრალოდ, ვერ ვშორდები, მეშინია. შემთხვევით გავიცანი, თავბრუ მარტივად დამახვია, მანქანა, ფული და მეც დავნებდი, თუმცა ყოველი შეხვედრა ჯოჯოხეთია, ის სასწაულების კეთებას მაიძულებს, მეც აღარ შემიძლია, მეც თავს მოვიკლავ“, – განაცხადა გოგომ.

როგორც გაირკვა, ექიმი მას, როგორც მონას, ისე ექცეოდა. შეხვედრის დროს, კაცი რეზინის ბურთს ისროდა და გოგოს აიძულებდა, ოთხზე დამდგარს, პირით მოეტანა ანუ ძაღლის როლი ეთამაშა. ამასთან, კაცი გოგოს აიძულებდა, ქუჩაში შემხვედრი პირველივე მამაკაცისთვის ეკოცნა, ამის შემხედვარე კი იღგზნებოდა და კონტაქტს ცხოველური ჟინით ამყარებდა. გოგონა პირველივე შემხვედრ მამაკაცს ეუბნებოდა, რომ სანაძლეო წააგო, შემდეგ მოულოდნელად კოცნიდა და სანამ უცხო კაცი აზრზე მოვიდოდა, გარბოდა. ყველაფერ ამას ექიმი შორიდან უყურებდა. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა სამართალდამცავები ფიქრობდნენ, როგორ დაეკავებინათ ექიმი, იგი მოწამვლის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა. ინტოქსიკაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ექიმი კომაში ჩავარდა და მისმა კოლეგებმა აუცილებელი პროცედურები – კუჭ-ნაწლავის ამორეცხვა დაიწყეს. ამის შემდეგ დასკვნაც დადეს – ექიმმა ვერცხლისწყალი ისუნთქა. ჰო, სწორედ რომ ისუნთქა, რადგან რომ მიეღო, მოინელებდა და სასიკვდილო დოზა არ იქნებოდა. აი, მუდმივად ვერცხლისწყლის სუნთქვა კი უმძიმეს შედეგებს იწვევს.

„მის სახლში დავბრუნდით და ჩხრეკა დავიწყეთ. დიდი დრო არ დაგვიკარგავს, ლოგინის ქვეშ, ჩვეულებრივ თეფშზე დასხმული ვერცხლისწყალი ვნახეთ, რომელიც ორთქლდებოდა და როცა კაცს ეძინა, სუნთქავდა. ისედაც, ოთახში სულ ვერცხლისწყლის მომაკვდინებელი ორთქლით გაჯერებული ჰაერი იყო. ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ექიმი? – ახლა ეს უნდა გაგვერკვია“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, პირველი ეჭვი სწორედ იმ პატარა გოგოზე მიიტანეს, მაგრამ მან ხელები გაასავსავა, მაგ სახლში ნამყოფიც არ ვარ, ბინა ჰქონდა ნაქირავები, იქ ვხვდებოდით ერთმანეთს, მიახლოებითაც კი არ ვიცი, სად ცხოვრობდაო. გოგონა ვერც მეზობლებმა ამოიცნეს ანუ აღნიშნულ ბინაში ან მართლა არ მიდიოდა, ან იმდენად კონსპირაციულად, რომ ერთმა მეზობელმაც ვერ დაინახა.

ერთ-ერთი გამოსავალი გაზით გარდაცვლილი ქალის დის დაკითხვა ჩანდა, რომელიც გვერდით კორპუსსში ცხოვრობდა, მარტოხელა იყო და 12 წლის გოგონას ზრდიდა. გარდაცვლილ დაზე 2 წლით უფროსი იყო და მასზე მუდამ ზრუნავდა. ქალმა დაადასტურა, რომ სიძე მის დას სათანადოდ არ ექცეოდა და ამის გამო, მუდმივად კონფლიქტი ჰქონდათ. დები ობლად გაიზარდნენ, მხოლოდ დედა ჰყავდათ და ამიტომ, როცა დის ცხოვრებაში პერსპექტიული ექიმი გამოჩნდა, გოგონას ბევრი არ უფიქრია, ცოლად გაჰყვა, მაგრამ მალევე ინანა, რადგან ექიმი მას მუდმივად ამცირებდა, სცემდა – ერთხელ, ისე გალახა, რომ ქალს მუცელი მოეშალა და შვილი აღარასდროს ეყოლებოდა.

გამოძიებისთვის შვება ის იყო, რომ ექიმის საყვარლისა და ცოლის დის მონათხრობი ერთმანეთს დაემთხვა ანუ კომაში მყოფი კაცი, მართლაც, მონსტრი იყო და თუ კომიდან გამოვიდოდა, იტყოდა კიდეც, ვის შეეძლო ასეთი სიკვდილისთვის გაეწირა.

გამომძიებლებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ლოგინის ქვეშ, ვერცხლისწყლიანი თეფში მაშინ დადეს, როცა ექიმმა გარდაცვლილი ცოლის გასვენება სწორედ სახლში, ვიწრო წრეში აღნიშნა. სულ 12 ადამიანი იყო შეკრებილი და სამართალდამცავებმა მათი შესწავლა დაიწყეს. სტუმრებს შორის, ექიმის ცოლის დაც იყო – შვილთან ერთად, მათ გარდა, კოლეგები და ექიმის ორი მეგობარი. თითოეული მათგანის ბიოგრაფიის შესწავლას სამი დღე დასჭირდა, მაგრამ ეჭვი ვერავისზე მიიტანეს. სამაგიეროდ, მოხდა ისეთი რამ, რამაც გამოძიება საერთოდ გააოცა. ექიმი გარდაიცვალა და ეს მას შემდეგ, რაც მედიცინის მუშაკებმა ასპროცენტიანი სიზუსტით თქვეს, კომიდან გამოვიყვანთო.

„როგორც საავადმყოფოში გვითხრეს, მის სანახავად პატარა ბავშვი მივიდა, თქვა, რომ ექიმის ნათესავი იყო, ექთანმა რეანიმაციაში შეიყვანა და უფლება მისცა, იქ 3 წუთი დარჩენილიყო. შემდეგ, ბავშვი წავიდა, თუმცა გაირკვა, რომ ვიღაცამ ხელოვნური სუნთქვის მილი, უბრალოდ, ჩაკეტა და პაციენტი უჰაერობით გაიგუდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ბავშვის ვინაობა მალე გაარკვიეს – ის ექიმის ცოლის დის შვილი იყო, თუმცა მისი დაკითხვის შემდეგ, სამართალდამცავებმა ვერაფერი თქვეს. გოგონა თვალებს აფახულებდა და ამბობდა, ვაშლი მივუტანე საყვარელ ბიძიას, მე რა ვიცი, მერე რა მოხდა ან საიდან ვიცოდი, რომელი იყო სასუნთქი მილი და როგორ გადავკეტავდიო. ის იყო, მისთვის ყველაფერი უნდა დაეჯერებინათ, როცა ერთ-ერთი ოპერმუშაკი განყოფილებაში გამარჯვებული სახით შევიდა და გამოაცხადა – „მკვლელი ვიპოვე“.

თურმე, ამ ოპერმუშაკს, საკუთარი ინიციატივით, ექიმის ცოლის დის სურათი აუღია და მის სახლთან ახლომდებარე აფთიაქები დაუვლია. ყველგან დაუდასტურეს, რომ ამ ქალმა 5 ცალი თერმომეტრი იყიდა. მთლიანობაში, 35 ცალი თერმომეტრი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სწორედ მათი საშუალებით შეაგროვა ვერცხლისწყალი. შესაბამისად, ექიმის ცოლის დის დაკითხვის დროც დადგა.

„როცა ჩემი და ექიმს შეხვდა, გამიხარდა, ვფიქრობდი, რომ ბედნიერი იქნებოდა, თუმცა ქორწილამდე ორი დღით ადრე, ეს ექიმი ჩვენს სახლში მოვიდა, ჩემი და შინ არ იყო, მარტო მე დავხვდი. ახლაც არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა და რა მოელანდა, მაგრამ მომვარდა და გამაუპატიურა. მერე მითხრა, შენი და თუ გაიგებს, ქორწილი ჩაიშლება და გაუბედურდებაო. ნეტავ, ჩამეშალა, მაგრამ გაჩუმება ვამჯობინე. 9 თვეში, გოგონა შემეძინა, მშობლები ჩვენ არ გვყავდა, დას ვუთხარი, ვიღაცამ შემაცდინა-მეთქი. სიძე ხვდებოდა, რომ მისი შვილი იყო, მაგრამ ხმას არ იღებდა. ასე ვზრდიდი ჩუმად ჩემს შვილს და ვცდილობდი, ჩემი და მაინც ყოფილიყო ბედნიერი. მერე მოხდა ის, რაც მოხდა – ორსული და გალახა და მუცელი მოეშალა, თან ოპერაციაც გაუკეთეს და ბავშვი არასდროს ეყოლებოდა. ჩემმა დამ თავი მას შემდეგ მოიკლა, რაც გაიგო, რომ ქმარს ახალგაზრდა საყვარელი ჰყავდა. ამას ვეღარ ვაპატიებდი, ვერცხლისწყალი მე დავუდგი ლოგინის ქვეშ. მერე ბავშვსაც მოვუყევი, რა და როგორ მოხდა, მაგრამ ის ძალიან პატარაა იმისთვის, რომ მამის მოკვლა განეზრახა“, – ასეთი იყო ქალის აღსარება.

სასამართლომ ქალს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბავშვს კი ვერაფერი დაუმტკიცეს. საკუთარი შვილის შეფასებაში ქალი აშკარად შეცდა. როდესაც 7 წლის შემდეგ, ციხიდან გამოვიდა, მისი 19 წლის გოგონა ექვსწლიან სასჯელს იხდიდა. ის ძალიან გონიერი კრიმინალი გახდა და სამართალდამცავებს, ციხიდან გამოსვლის შემდეგაც, თავი არაერთხელ შეახსენა.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული გ.დ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ნაცნობს – 1977 წელს დაბადებულ ე.ჯ.-ს ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

პოლიციამ ბრალდებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დააკავა. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს დანაშაულის ჩადენის იარაღი – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

ასევე, ამოღებულია გ.დ.-ის მფლობელობაში არსებული ავტომობილი, რომლითაც ბრალდებულმა შემთხვევის ადგილი დატოვა. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შს მინისტრის პირველი მოადგილე და აშშ-ის ელჩი ნარკოდანაშაულის გამოძიების სასწავლო კურსის დახურვის ცერემონიას დაესწრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით, ნარკოდანაშაულის გამოძიების საკითხებზე სასწავლო კურსი ჩატარდა.

ტრენინგის დახურვის ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე და აშშ-ის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი დაესწრნენ. კურსდამთავრებულებს მინისტრის პირველმა მოადგილემ და აშშ-ის ელჩმა შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს. შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, წლების განმავლობაში არსებული მჭიდრო თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. აშშ-ის ელჩმა ხაზი გაუსვა ნარკოდანაშაულის გამოძიების კუთხით სამართალდამცველთა გადამზადებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას.

კურსის განმავლობაში, მსმენელებმა ინფორმაცია მიიღეს ისეთ მნიშვნელოვანი საკითხებზე, როგორებიცაა: ნარკოტიკული საშუალებების ამოცნობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების, უსაფრთხოების ძირითადი წესები ფარული ნარკოლაბორატორიების გამოკვლევის დროს და ფინანსური გამოძიების შესახებ.

ალექსანდრე დარახველიძე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან, სანია ჩელებიჩ ლუკოვაცთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ხაზი გაუსვა საქართველოში მიგრაციისა და საზღვრის ინტეგრირებული მართვის გაძლიერების კუთხით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობას.

მხარეებმა არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ, სანია ჩელებიჩ ლუკოვაცს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

პოლიციამ თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავა, მათ შორის, სამი დაკავებულია ფონიჭალის დასახლებაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ ბრიფინგი გამართა, რომელზეც ცნობილი გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო 10 დღეში, თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

ფონიჭალის დასახლებაში დაკავებული არიან: 2001 წელს დაბადებული დ.მ., 1989 წელს დაბადებული ა.ა. და 1983 წელს დაბადებული ზ.ა., ასევე, დაკავებულები არიან: 1994 წელს დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ზ., 1987 წელს დაბადებული დ.დ., 1967 წელს დაბადებული ა.ა., 1988 წელს დაბადებული რ.ჯ., 1972 წელს დაბადებული რ.ზ., 1970 წელს ა.მ., 1956 წელს დაბადებული ვ.მ., 1989 წელს დაბადებული ლ.ს.

დაკავებულებს ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებაში ედებათ. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალებების – „ჰეროინის“, „ალფა-პვპ“-სა და „ბუპრენორფინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა, ფონიჭალის დასახლებაში, ბრალდებულ ზ.ა.-ს საცხოვრებელ სახლში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და ნარკოტიკების დასაფასოებლად საჭირო ნივთები: ელექტროსასწორი და კოვზი.

პოლიციამ, ბრალდებული რ.ზ.-ის პირადი ჩხრეკისას, 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო.

სამართალდამცველების მიერ დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქის – ი.ზ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია ფული – 1000 ლარი, მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად კი – 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას და მცენარე კანაფის უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას გულისხმობს.

პოლიციამ, მიხეილ სააკაშვილის საქმის გამოძიების ფარგლებში, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის სახით, ერთი პირი – 1989 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავა.

სამართალდამცველებმა, ამავე ბრალდებით, ამ საქმეზე უკვე სამი პირი დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მიმდინარეობს, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს. დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მსჯავრდებულის, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისა და მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. აქტიურ რეჟიმში ტარდება ყველა შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება.

ძიუდოისტები ბაქოსთვის დაირაზმნენ

5-7 ნოემბერს, აზერბაიჯანის დედაქალაქი ძიუდოისტთა გრანდ სლემს უმასპინძლებს. თავდაპირველად ცნობილი იყო, რომ ბაქოში ქართული დელეგაცია უძლიერესი შემადგენლობით უნდა წასულიყო, მაგრამ გუნდს ერთი-მეორეს მიყოლებით გამოაკლდნენ მსოფლიოს ჩემპიონები – ლუხუმ ჩხვიმიანი, ლაშა შავდათუაშვილი და გურამ თუშიშვილი. აზერბაიჯანში ორ გოგონასაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ მარიამ ჯანაშვილი და მზია ბებოშვილი ბაქოში აღარ თუ ვეღარ მიდიან. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, ჩვენი გუნდის შემადგენლობა ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ გახლავთ. აზერბაიჯანში საქართველოს სახელს ჯაბა პაპინაშვილი (-60კგ.), ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი (-66კგ.), ჯუმბერ მელაძე (-73კგ.), თორნიკე ფოლადაშვილი, გიორგი შერაზადიშვილი (-81კგ.), ლაშა ბექაური, ბექა ღვინიაშვილი (-90კგ.), ონისე სანებლიძე, მიხეილ ჯაფარიძე (100კგ.) დაიცავენ.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ძიუდოს ფედერაცია გოგონებისთვის სპეციალური პროგრამის განხორციელებას იწყებს. ეს იმ პროგრამის ანალოგია, რომელიც ვაჟთა გუნდში განხორციელდა და შედეგი მოიტანა. იმედია, ფედერაციის მიერ წამოწყებული ახალი პროგრამა გოგონებშიც ისეთივე წარმატებული იქნება.

21-ე საუკუნეში პირველად – ზედიზედ ოთხჯერ...

გასული უქმეები იმით იყო საინტერესო, რომ ესპანური ელ-კლასიკო შედგა. „ბარსელონამ“ საკუთარ მოედანზე მადრიდის „რეალი“ მიიღო და ეს იყო პირველი შეხვედრა სამეფო გუნდთან მას შემდეგ, რაც გუნდიდან ლიონელ მესი წავიდა. მანამდე, კატალონიელებს, ზედიზედ სამი ელ-კლასიკო ჰქონდათ წაგებული და დღეს გუნდების ფორმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კატალონიელებს დიდი შანსები არც ამჯერად ჰქონდათ.

გულშემატკივართა მოლოდინი მხოლოდ პირველ ნახევარში გამართლდა, როცა თვალსასეირო ბურთაობა გაჩაღდა და დაცვაზე მეტად, გუნდები შეტევაზე ფიქრობდნენ. ამან კი ის მოიტანა, რომ „ბარსას“ კონტრშეტევა გაეპარა და შორეული დარტყმით, დავიდ ალაბამ ლამაზი გოლი გაიტანა. მეორე ნახევარში მასპინძლები უტევდნენ, მადრიდელები თავს იცავდნენ და მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე, მეორე გოლიც გაიტანეს. აქ დიდი და მსუქანი წერტილის დასმა შეიძლებოდა, მაგრამ კატალონიელებმა გაიბრძოლეს, ერთი ბურთი გაქვითეს და საბოლოოდ 1:2 დამარცხდნენ. ეს არის „ბარსელონას“ ზედიზედ მეორე მარცხი ელ-კლასიკოში, რაც 21-ე საუკუნის ანტირეკორდია.

ყველაზე ცუდი კი მაინც კარლო ანჩელოტის სიტყვები იყო. ნამატჩევს, მადრიდელთა იტალიელმა თავკაცმა განაცხადა, „ბარსელონა“ არ გააკრიტიკოთ, დღეს მათ ძალიან კარგად ითამაშესო. გუნდი, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს, არ აგებს.

ბექჰემი სიკვდილის გადასაფარად

მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატს ყატარი რომ უმასპინძლებს, კარგად მოგეხსენებათ. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ყატარის მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს 2022 წლის 21 ნოემბერს აიღებს, ხოლო ფინალური შეხვედრა იმავე წლის 18 დეკემბერს გაიმართება. ხმაური მას შემდეგ ატყდა, რაც გაირკვა, რომ სტადიონებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, სათანადო პირობების არარსებობის გამო, უამრავი ადამიანი იღუპება.

სტატისტიკის მიხედვით, ერთ კვირაში, სამხრეთ აფრიკის 12 (!) წარმომადგენელი იღუპება. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, ნეპალისა და ინდოეთის 6 000-ზე მეტი მოქალაქე გარდაიცვალა. 2010 წლიდან 2020 წლის ჩათვლით კი, სიცოცხლეს პაკისტანის 1000-მდე მოქალაქე დაემშვიდობა და ყველა შემთხვევა მშენებლობის უსაფრთხოების ზომების დარღვევამ გამოიწვია. რეალურად, დაღუპულთა საერთო მაჩვენებელი გაცილებით დიდია, რადგან მოცემულ სტატისტიკაში არ შედიან ადამიანები ფილიპინებიდან და კენიიდან. ასევე, სტატისტიკაში არ არის გათვალისწინებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2020 წლის ბოლო თვეებიდან და 2021 წლის დასაწყისის პერიოდში.

როგორც ჩანს, ქვეყნის ხელისუფლებამ ამის გადაფარვა დევიდ ბექჰემის სახელით სცადა. ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელი მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის სახე იქნება, რომელიც არა მარტო ყატარის, არამედ, მსოფლიოს მასშტაბით იმოგზაურებს და როგორც ტურნირის, ისე უშუალოდ ქვეყნის რეკლამირებასაც შეეცდება. ბექჰემის ძირითადი სამუშაო სტადიონებზე ქალებისა და სექსუალური უმცირესობების დაშვების შესახებ იქნება მიმართული. აღსანიშნავია, რომ სტადიონებზე „ლგბტ“ თემატიკის დროშების გამოფენაც იგეგმება, რასაც ინგლისელიც მხარს უჭერს. ამ ყველაფრის სანაცვლოდ, საერთო ჯამში, დევიდი 277 მილიონ ევროს მიიღებს – სწორედ ამ თანხაზე შეთანხმდნენ, თუმცა ამბობენ, რომ თავდაპირველად, ბექჰემი 300 მილიონს ითხოვდა, საბოლოოდ კი, 277 მილიონსაც დათანხმდა.

21 წლის ბიჭი, რომელიც 100 მილიონად უკვე დაფასდა

როცა 2020 წლის ზაფხულში, იტალიურმა „ნაპოლიმ“ ფრანგულ „ლილს“, ნიგერიელი ფორვარდის, 21 წლის ვიქტორ ოსიმჰენის სანაცვლოდ 70 მილიონი ევრო გადაუხადა, ყველა ფიქრობდა, რომ აპენინელებმა ფული წყალში გადაყარეს. მართლაც, გასული სეზონი ვიქტორმა შთამბეჭდავად ნამდვილად ვერ ჩაატარა, თუმცა მიმდინარე სეზონში აიწყვიტა – 10 გამართულ შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა და 1 საგოლე გადაცემაც შეასრულა. ჰოდა, ამ ბიჭით მიუნხენის „ბაიერნი“ დაინტერესდა, რომელიც რობერტ ლევანდოვსკის შემცვლელს ეძებს. პოლონელ „გოლების მანქანას“, კლუბთან კონტრაქტი 2023 წელს ეწურება და ჯერჯერობით, მის გახანგრძლივებაზე გერმანელები კრინტს არ ძრავენ. ეს იმის მიუხედავად, რომ რობერტს, პრაქტიკულად, ყოველ შეხვედრაში გოლი გააქვს, თუმცა ასაკი თავისას შვრება და დღეისთვის, 33 წლის ფორვარდზე, „ბაიერნი“ გრძელვადიან გათვლას არ აკეთებს.

რაც შეეხება ოსიმჰენს, მიუნხენელები მზად არიან, მის სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო გადაიხადონ და ნიგერიელი ბავარიის გზას მომავალ სეზონშივე გაუყეონონ, თუმცა, თუ ვიქტორმა გოლების გატანა ამ ტემპით განაგრძო, მისი ფასი მინიმუმ 140 მილიონი იქნება ანუ გაორმაგდება.

„უკაცრავად, რა ღირს „კოკა-კოლა“?

ალბათ, გახსოვთ, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, კრიშტიანუ რონალდუმ „კოკა-კოლას“ ბოთლები გვერდით რომ გადადგა და გულშემატკივარს მოუწოდა, რაც შეიძლება მეტი წყალი დალიეთო. ერთი შეხედვით, ეს უწყინარი საქციელი მეორე დღეს, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის აქციებზე აისახა – „კოკა-კოლას“ აქციები 4 მილიარდი დოლარით შემცირდა. საინტერესოა, ხელფასის გარდა, რა თანხას იღებენ წარმატებული სპორტსმენები ცნობილი ბრენდებისგან და რამდენია მათი შემოსავალი.

რონალდუთი დავიწყოთ. პორტუგალიელ ფეხბურთელს „ნაიკთან“ უვადო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ანუ სიცოცხლის ბოლომდე, ის ამ კომპანიის წარმომადგენელი იქნება და თუ დავუშვათ, 70 წლამდე იცოცხლა (და რატომ არ უნდა იცოცხლოს?!), მთლიანობაში, მილიარდ დოლარზე მეტს მიიღებს. ისევ ფეხბურთელით გავაგრძელოთ და ლიონელ მესის სარეკლამო კონტრაქტებს გადავხედოთ. სანამ აქტიურ სპორტში იქნება, მესი „ადიდასისგან“ ყოველწლიურად 27 მილიონ დოლარს მიიღებს, კარიერის დასრულების შემდეგ, ეს ციფრი დაიკლებს, მაგრამ რონალდუსი არ იყოს, ეს კონტრაქტი ლეოსაც ცხოვრების ბოლომდე აქვს გაფორმებული. ერთი შეხედვით, სოლიდური ციფრის მიუხედავად, მესი სარეკლამო ამბებში, მაინც ერთ-ერთ, ყველაზე დაბალანაზღაურებად სპორტსმენად ითვლება.

როცა 2003 წელს, ლებრონ ჯეიმსი NBA-ში გამოჩნდა, „რებოკმა“ მას წლიური 10-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. ეს ხელშეკრულება 12 წელზე იყო გათვლილი. ამ ხნის განმავლობაში, ლებრონი კალათბურთის ნამდვილი ლეგენდა გახდა და 2015 წელს, „რებოკი“ „ნაიკით“ ჩაანაცვლა. „ნაიკთან“ მან ხელშეკრულება სიცოცხლის ბოლომდე გააფორმა და ანგარიშზე მაშინვე... ერთი მილიარდი დოლარი დაერიცხა.

ჩოგბურთის ლეგენდა როჯერ ფედერერი „ნაიკთან“ ასოცირდება. მას ყველაფერი ამ ბრენდის ჰქონდა და ტიტულებსაც „ნაიკის“ ეკიპირებით იგებდა. შვეიცარიელი ხანდახან ხუმრობდა, „ნაიკი“ ფულს რომც არ მიხდიდეს, იმდენად კომფორტულ სამოსს კერავს, მაინც მისი მომხმარებელი ვიქნებიო. ხუმრობა იქეთ იყოს და ამერიკული კომპანია ფედერერს წლიურად 20 მილიონს უხდიდა, თუმცა ახლა როჯერმა 10-წლიანი კონტრაქტი იაპონურ Uniqlo-სთან გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში, საერთო ჯამში, 300 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს.

რასაც ახლა გეტყვით, შესაძლოა, ფანტასტიკის სფეროდ გეჩვენოთ, თუმცა ციფრები არასდროს ტყუიან. გოლფის ლეგენდარული მოთამაშე ტაიგერ ვუდსი, 1996 წლიდან „ნაიკთან“ თანამშრომლობს. ამჟამად, ვუდსის ქონება 1.5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული და უშუალოდ ტურნირებიდან მიღებული თანხა, ამ შემოსავლის 10%-ს არ აღემატება ანუ ვუდსს გოლფით 150 მილიონი აქვს მოგებული, დანარჩენი კი სწორედ „ნაიკის“ კონტრაქტზე მოდის.

დასასრულ – კალათბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავის, სტეფ კარის სარეკლამო კონტრაქტიც განვიხილოთ. ის Under Armour-თან თანამშრომლობს და შედეგად, წელიწადში 42 მილიონი დოლარით მდიდრდება. კარის ხელშეკრულება 10 წელზეა გათვლილი და ამ ხნის განმავლობაში, ის თითქმის ნახევარ მილიარდ დოლარს მხოლოდ ერთი კომპანიისგან მიიღებს.

„ნიუკასლის“ ახალ მფლობელს ბრალი მკვლელობაში დასდეს

მოგეხსენებათ, ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედს“ ახალი მფლობელი ჰყავს – მუჰამედ ბინ სალმანი. კაცი, რომლის ქონებაც 320 მილიარდ ევროდაა შეფასებული. 23 ოქტომბერს, „ნიუკასლი“ „კრისტალ პალასს“ სტუმრობდა და მასპინძელი გუნდის ფანებმა ტრიბუნებზე ბანერი გამოფინეს, რომელიც სალიმანთან პირდაპირ იყო კავშირში. მას საუდის არაბეთში ბრალი ადამიანის უფლებების დარღვევასა და მკვლელობაში ედება, თუმცა იგი ყველა ბრალდებას უარყოფს. ბანერზე გამოსახული იყო თავად სალიმანი, რომელიც ხმლით თავს აჭრის კაჭკაჭს და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც წინ ფულით სავსე, სისხლიანი ჩანთა უდევს.

„კაჭკაჭები“ „ნიუკასლის“ მეტსახელია, ამ ბანერით კი მიანიშნეს, რომ სალიმანის ხელში გადასვლით, გუნდმა არსებობა შეწყვიტა და ის ახლა შეიხის სათამაშოდ იქცა. სამართალდამცავებმა გამოძიება უკვე დაიწყეს და როგორც ამბობენ, თუ ბანერის ავტორებს მიაგნებენ, მათ სერიოზული სასჯელი ელოდებათ. უშუალოდ მატჩი კი ფრედ – 1:1 დასრულდა. ეს იყო მეორე შეხვედრა, რომელიც „ნიუკასლმა“ სალიმანის მისვლის შემდეგ გამართა. პირველ მატჩში „კაჭკაჭები“ შინ, „ტოტენჰემთან“, 1:3 დამარცხდნენ.

ვანო სირადეღიანი

ცნობილი სომეხი პროზაიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ვანო სირადეღიანი დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს, სომხეთში. 90-იანი წლებში, დამოუკიდებელი სომხეთის ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. გარდაიცვალა 2021 წლის 15 ოქტომბერს.

დასანანი იყო ბავშვი

როდესაც კაცმა დრო მონახა და უკან მიიხედა, დაინახა, რომ წარსული მივიწყებაში იძირება. „არ შეიძლება მოხდეს“, – ეს იყო პირველი, რაც გაიფიქრა. ყოველთვის, როცა წარსულისთვის თვალი გადაუვლია და მალევე ყოველდღიურობაში დაბრუნებულა, შთაბეჭდილება დარჩენია, რომ იქ ყველაფერი რიგზეა, რომ იქ, მეხსიერების სამალავში, დღეთა მსვლელობა უდანაკარგოდ ჩაბეჭდილა და მხოლოდ დროა საჭირო, რომ ფიქრში გამოსახულებათა მწკრივი მოქმედებაში მოვიდეს. მაგრამ აი, დრო მოძებნა და ნახა, რომ ცხოვრება თავის კვალს მეორე ბოლოდან შლის.

„რა საწყენია!“ – გაიფიქრა კაცმა და უკვე გასაგები იყო, რომ წინ უფსკრული არაა, რომლის კიდესთან ცხოვრება შეწყდება. სიკვდილი წინ, სადმე, ჩასაფრებული კი არ გიცდის, არამედ ზურგიდან მოდის, გეპარება, ნაცხოვრები წლების კვალს უჩუმრად შლის და, როცა შენამდე მოვა, წინ არაფერი დაგრჩება და აღარც წარსულში დაგრჩება რამე, რომ დაგენანოს... და მაინც, დასანანი იყო ცხოვრება. დასანანი იყო, ასე ზედმიწევნით გეცხოვრა და შემდეგ ყველაფერი მივიწყებას მისცემოდა. დასანანი იყო იმ ნათელი ბავშვის მოციმციმე გამოსახულებაც, რომელიც შეუცნობელია, როგორ შეერია წყვდიადით მოცული მეხსიერების მოქუფრულ მასას, გაუგებარია, ან თავად როდისღა გაუჩინარდა. „ეშმაკმა წაიღოს შენი უჟმური თავი“, – გამწარდა მარტოხელა კაცი.

– რა კარგი იყო, იმ ბავშვმა რომ შენი არსებობა არ იცოდა!

და შემდეგ ფრთხილად, სხეულში სადმე, რომელიმე კუნთი მტკივნეულად რომ არ დაჭიმვოდა, ფრთხილად და ყურადღებით წამოდგა – ყავის მოსადუღებლად. ახლა ის ვაშლს უნდა ფცქვნიდეს ან შვილის ველოსიპედის შეკეთებით უნდა იყოს დაკავებული, ანდა, სხვა მსგავსი რამეებით, რასაც სახლში 50-ის შემდეგ აკეთებენ ხოლმე. მთელი ამჟამინდელი ცხოვრების არსი კი საკუთარი თავის მომსახურებისკენაა მიმართული. მისი თითოეული მოქმედება უაზრო თუ არა, მოსაბეზრებელი მაინცაა. არავინ არის, რომ გათლილი, დაჭრილი და თეფშზე წრიულად დაწყობილი ვაშლი მიირთვას ან ველოსიპედის, მწყობრში სწრაფად მომყვანი მამის სიმარჯვით იამაყოს. ახლა ის თავისივე შესაძლებლობების მომხმარებელი გამხდარა, სალათის სუნისა და გემოს შემფასებელიც თავადაა და თავისივე თავის მსმენელიც, რადგან უკვე საკუთარ თავთან ლაპარაკობს. მისი სახლიდან ზღვა სამას ნაბიჯზე უნდა ყოფილიყო, რომლის არც სუნთქვა იგრძნობოდა და არც ხმა, ვინაიდან ქალაქის ტიპის დასახლებას ზღვისგან დღე და ღამე მოხმაურე ავტომაგისტრალი ჰყოფდა.

მაგისტრალს მიკრული ერთსართულიანი სახლების დაბა დღისით თითქოს არც კი ცხოვრობდა. ადამიანები გარეთ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოდიოდნენ, მზის ჩასვლისთანავე კი, ბავშვებს სახლებში ექაჩებოდნენ, ვინაიდან მზის ამოსვლამდე, ბევრად ადრე, პაპანაქება სიცხე დგებოდა და ბავშვებს ძილი უნდა მოესწროთ – სკოლაში რომ წასულიყვნენ.

სახლი თითქოს კეთილსინდისიერად იყო აშენებული – გარე სამყაროსგან შეძლებისდაგვარად იზოლირებული, თუმცა ხვლიკის წიწილები ნახვრეტებს მაინც პოულობდნენ და ამ გრილ სამოთხეში ძვრებოდნენ, რომლის ერთადერთი ბატონ-პატრონი მარტო კაცი იყო – თავისი უაზროდ დიდი ეზოს ტერიტორიით, სადაც დღის მწველი სიცხისგან, მილიონობით ხვლიკს შეეძლო სულის მოთქმა. მაგრამ ხვლიკებს არ გაუმართლათ, რადგან სახლის მობინადრეს ქვეწარმავლები და საერთოდ, სრიალ-პრიალა ლორწოვანი რაღაცები სძულდა – მას, სანამ ოცი წლის გახდებოდა, მაკარონიც კი არ გაუსინჯავს, ხოლო ბრინჯს იმიტომ არ ჭამდა, რომ უფროსი ძმაც არ ჭამდა და, როდესაც ოჯახის წევრები სადილად სხდებოდნენ, ყოველ ჯერზე, დედა, გადანახული მარაგებიდან მისთვის რაღაცას მოძებნიდა ხოლმე.

ხაშის მიმართ ზიზღი კი, ნებისყოფის უდიდესი დაძაბვის ფასად გადალახა, თუმცა ეს, ალბათ, გარდაუვალიც იყო, ვინაიდან კვირაობით, დილაადრიან ხაში არა მარტო მეგობრების შეკრების შესაძლებლობას იძლეოდა, არამედ რიტუალებს მოკლებულ სომხურ ყოფაში ერთადერთი სრულყოფილი რიტუალი იყო, რომელიც დაკრძალვას, გენოციდს ან სხვა რაიმე უბედურებას არ უკავშირდებოდა.

არყის სმაც სწორედ მაშინ ისწავლა. დღემდე არ ესმის, რატომ სვამენ არაყს სხვა სამხრეთელები, თავად კი სმა ხაშის მიმართ ზიზღის დასაძლევად დაიწყო, თუმცა არაყიც ცალკე საზიზღრობა იყო. ხაშის შიგნეულის ნაჭრებს, ყოველი შემთხვევისთვის, თავის თეფშიდან ყოველთვის მოშორებით დებდა, ისევე, როგორც ხახვს.

... გაირკვა, რომ ტელევიზორის ეკრანიდან მოუწყვეტლობის ადამიანური შესაძლებლობა უსაზღვროა – დაუსრულებლად უყურებდა, დღე და ღამე, მრავალი კვირის განმავლობაში, დივანზე წამოწოლილი, თვლემისას და არ იცოდა, რას მოუტანდა ეს – სიზარმაცესა და უცოდველ იდიოტიზმს, თუ შინაგანი დაჭიმული სიმის უცაბედ გაწყვეტას? ყველა შემთხვევაში, ფიქრის უნარის დაკარგვა საჭირო არ იყო, ხოლო წერა – ფიქრის საუკეთესო საშუალებაა. ასეთ დროს, პირველი, რაც აზრად მოსდის უმნიშვნელო და პატარა ქვეყნის თანამდებობიდან გადაყენებულ გენერალს, ერთგულებისა და ღალატის, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის მარადიული თემებია, მაგრამ ჯერ იმდენ დროს არ გაევლო, რომ პოლიტიკისგან დატოვებული სიძულვილი გამქრალიყო. შთაბეჭდილებებიც არც ისე ახალი იყო, რომ წყენას ამოხეთქვისკენ ებიძგა, და კიდევ, იმდენად უჭკუოც არ იყო, ეფიქრა – მისი ცხოვრების მაგალითი ვინმესთვის გაკვეთილი იქნებოდა.

როდის ყოფილა ისტორია ვინმესთვის გაკვეთილი, რომ ახლა იყოს? თითოეული ადამიანი, ყოველი თაობა, საკუთარ შეცდომებზე სწავლას თავის ხელშეუვალ უფლებად თვლის და ამ უფლების მაქსიმალური აგრესიით სარგებლობს. და როდესაც საკმარისად შემცდარია ხოლმე იმისთვის, რომ საკუთარ შეცდომებზე გაკვეთილი იწვნიოს, უკვე მომდევნო თაობების შეცდომების ჯერი დგება.

გამოსავალი – შეულამაზებელი დღიურის წერა იყო. ოთხ კედელს შორის გატარებული არაფრის მსგავსი დღეების აღწერა ერჩივნა, შეუმჩნევლად ხმამაღლა ფიქრზე გადასვლას, რისი ნიშნებიც უკვე ჩანდა. ისღა დარჩენოდა, შორს განედევნა დღიურის მწარმოებელი თოთხმეტი წლის გოგონას გამოსახულება, რომელიც სენტიმენტალურ ტალახში ჩაფლობის საფრთხეს ახსენებდა და ეს კი ნაადრევ მარაზმზე უკეთესი არაფრით იყო – სენტიმენტები და მარაზმი, ალბათ, ერთი და იგივე მოვლენის ორი გამოვლინებაა.

მაგრამ საწერკალამი დიდხანს ხელში ვერ უჩერდებოდა – ხელი თითქოს ვერ ეგუებოდა.

ალბათ, ასე იყო პირველი გაპარსვის დროსაც. ნამდვილად ასე ხდება, როცა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პერანგის ღილებს იკრავ, ასე ხდება, როცა წლიდან წლამდე ყავას თანაშემწეები გიდუღებენ, ტექსტს თანაშემწეები გიწერენ, იარაღს ზეთავენ, ტელეფონის ანგარიშს გივსებენ... და იძულებითი მუქთამჭამელის ამ ყოველდღიურობაში, წერის მაგივრად, მხოლოდ რეზოლუციის დადებაღა გრჩება, ფიქრის მაგივრად – სხვისი ნაფიქრალის მოწონება ან დაწუნება, ხოლო სხვა დანარჩენიდან მხოლოდ ის, რასაც დღე და ღამ, პირადი დაცვით გარშემორტყმული გენერლებიც კი, სხვისი თანდასწრებით არასდროს სჩადიან და, როცა ადამიანი ბოლოს და ბოლოს მარტო რჩება, კარგა ხანს უჭირს გაერკვეს – ეს მოუხერხებლობა სიბერითაა გამოწვეული, თუ უსაქმურობაში გაწაფულობით?

ასე დაბნეულნი არიან ბავშვები სკოლაში საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ხელში საწერკალამი არ უჩერდებათ ან კარნახზე კონცენტრაციას ვერ ახდენენ, მასწავლებელი კი ჩლუნგია და ვერ ხვდება, რომ ზაფხულის დღეებიდან ბავშვი კლასში თანდათანობით უნდა დააბრუნოს – კარნახის მაგივრად, მარტივი ტექსტები უნდა მისცეს...

... ყავა ამჯერადაც დაექცა. ადუღებას დაჟინებული მისჩერებოდა, მადუღარას ორი ნაბიჯითაც არ მოსცილებია, მაგრამ ქაფის ამოსვლა მაინც ვერ შენიშნა. ახლა პრობლემა ის იყო, დაქცეული მასა მაშინვე მოეწმინდა – ვიდრე გახურებულ მინანქარს შეახმებოდა, თუ ჯერ ყავა დაელია და შემდეგ? შემდეგისთვის გადადება დროს დააკარგვინებდა. „და შენ დროს რა მოუვა, რო?“, – ირონიით გაიფიქრა კაცმა.

დროდადრო, სატვირთოს გრიალი ან სამგზავრო ავტომობილის საყვირის ხმა შეახსენებდა ხოლმე, რომ სახლის კედლებს მიღმა რაღაც სიცოცხლე მაინც არის. სიცოცხლის არსებობას, მზის ჩასვლის შემდეგ ბეღურების ჟღურტულიც მოწმობდა. საინტერესოა, ამ უჩრდილო ქვეყანაში, სად აფარებენ თავს ბეღურები დღის განმავლობაში? ან განა, რამდენ ხანს უნდა იცხოვროს აქ, რომ ფინიკის ჩრდილი ჩრდილად ჩათვალოს და მის ტოტებში კი ბეღურების ჟღურტული დამაჯერებლად ჟღერდეს? უფრო დამაჯერებელი, ალბათ, კაჭკაჭის ან სხვა რომელმე ნაირფერი ფრინველის არსებობა იქნებოდა, ბეღურა კი ადრეულ გაზაფხულზე ნაჟურ წყლებში მოჭყუმპალავე წარმოედგინა.

დასასრული მე-16 გვერდზე

ვანო სირაძეღიანი

მე-15 გვერდიდან

და, თუ ამ გამოსახულებათა შორის ხის არსებობა გარდუვალია, მაშინ ის ტირიფის უნდა იყოს ან გარგარის – ნესტიანი და ჩამუქებული შტოების ამოყრის მოლოდინში. და, თუ ნაჟურ წყლებში, გაზაფხულის ღელეზე მისული, ზამთრის უსაკვებო დღეებგამოვლილი, გამხდარი ბეღურაც დათამაშობს, შეუძლებელია, რომ იქვე, მახლობლად, შარვალაკაპიწებული, შიშველ ფეხებზე სანდლებამოცმული და წკეპლამომარჯვებული, ბეღურების მდევნელი ბავშვიც არ გამოჩნდეს.

„განა, შენი შვილი, შენი დაკარგული ბავშვობის ძიება არ არის?“ – ფრთხილად, მდუღარე ყავის პირველი ყლუპის მოსმასავით გაიფიქრა კაცმა.

ახლა ყავა კაბინეტში ფრთხილად უნდა გაეტანა, რომ არ დაქცეოდა – ასე უწოდებდა ორი ოთახიდან ერთ-ერთს, სადაც არ იძინებდა. საფერფლეც თან წაიღოს, თუ ცალკე მობრუნდეს?.. თან წაიღო. რა თქმა უნდა, არსად ეჩქარებოდა, მაგრამ, როცა მთელი ცხოვრება მოძრაობები შედეგებზე გაქვს გათვლილ-გავარჯიშებული, ამის შეცვლა უკვე შეუძლებელია, თუნდაც შენი დღე უსასრულო იყოს და დროც უსაზღვრო გქონდეს.

სამზარეულოდან ოთახში თეფშით ყავის გატანა ვერა და ვერ ისწავლა – ჭიქიდან ყავა თეფშზე ეღვრებოდა და, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ მიხვდა, რომ ჭიქა და თეფში ცალ-ცალკე უნდა დაეჭირა, უკვე გვიანი იყო.

საწყენიც კი იყო ასე გვიან მიხვედრა. რამდენადაც თავისი მოუხერხებლობა სწყინდა, იმდენად უფრო მეტად შვილის მოხერხებულობით ამაყობდა, როცა ნახა, მისი ჯერ კიდევ ექვსი წლის ვაჟიშვილი, ცალ ხელში მართკუთხა საპონს როგორ ატრიალებდა. ამ ასაკში, როცა ფეხსაცმლის თასმების შეკვრის სწავლაზე ერთ სიცოცხლეს კარგავ, ძნელია იფიქრო, რომ ბავშვმა სადღაც ერთხელ ნახა და ისწავლა. საბედნიეროდ, რაღაც-რაღაც გაწაფულობები ადამიანს მაიმუნისგან ჯერ კიდევ შემორჩა და თუ ისინი ჩვენში არ ვლინდებიან, ჩვენგან შვილებს მაინც გადაეცემა. ერთი სიტყვით, როცა ყავას თვითონ იდუღებდა, თეფშის გარეშე სვამდა, ხოლო თუ საზეიმო განწყობა ჰქონდა, სამზარეულოში თეფშის ასაღებად ცალკე ბრუნდებოდა და თან საფერფლეც მიჰქონდა.

„და თუ ასეა, – გაიფიქრა კაცმა ისე, რომ ტელევიზორის კადრებს ვერც კი ამჩნევდა, – თუ შენი შვილი, შენი დაკარგული ბავშვობის ძიებაა, მაშინ შენი ბავშვობა რაღა იყო, თუ არა – შენი მშობლის მიერ, თავისი ბავშვობის ძიება?..“

... სიგარეტის ღერს ფილტრიანი ბოლოდან მოუკიდა. ასეთ დროს პირველი რეაქცია, რაც ჰქონდა, ღერს ინსტინქტურად აბრუნებდა და დამდნარი ფილტრით ენას იწვავდა. მხოლოდ შემდეგ აგდებდა სიგარეტს საფერფლეში. ამასაც უკვე შეგუებოდა.

„ასეთ შემთხვევაში, ცხოვრების ამ ჯაჭვში, რომელია შენი მონაკვეთი? შვილი მშობლისგან როდის თავისუფლდება? რომელ ასაკში? რას რომ მიხვდება?“ ნუთუ, ყოველი შვილის დაბადებისას, ახლიდან იბადებიან და იმ ასაკს იხსენებენ, როცა სიკვდილზე იმდენივე წარმოდგენა ჰქონდათ, რამდენიც სიცოცხლეზე ანუ – არანაირი... სიცოცხლის უსასრულობის შეგრძნების ეს მოკლე პერიოდი, როგორც ნამდვილი ჰიპოთეზა, ალბათ, მუდმივ გადათამაშებას საჭიროებს ზრდასრული ადამიანის, მგონი, აწ უკვე არყოფილ სიცოცხლეში... „არყოფილი“ იმიტომ, რომ ნამდვილი სიცოცხლე მანამდეა, ვიდრე სიკვდილის შეცნობა არ დამდგარა. სიკვდილის შეცნობას კი, რომელიც გასაოცრად მოდის, მაშინვე თან სდევს პირველი თავზარი და დაეჭვება – გაუგებარის მიმართ... რატომ?

იმიტომ, რომ ამის შემდეგ, სიცოცხლე უკვე ის აღარაა, რაც პირველი თავზარის დაცემამდე იყო, არამედ – სიკვდილის მოსატყუებელი ხრიკების ერთი გრძელი ჯაჭვია და ღმერთისადმი დაუცხრომელი პირმოთნეობა.

ყავა მწარე ეჩვენა. იმაზე უფრო მწარე, ვიდრე უშაქრო ყავა უნდა ყოფილიყო. ღირდა, რომ დღე ერთი ნატეხი შაქრით დაეტკბო, სხვა რომ არაფერი, ახალი კვირა იწყებოდა. განვლილი თერთმეტი თვის დღეთა თანმიმდევრობაში მხოლოდ ის ხდებოდა, რომ კვირა იწყებოდა და კვირა მთავრდებოდა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ დღე თენდებოდა და დღე ღამდებოდა. მაგრამ, იმის მიუხედავად – დღე გვიან დაღამდება თუ ადრე გათენდება, მთვარე შეივსება თუ მიილევა, დროის სულთამხდელ მსვლელობას წილადებით ხელოვნური დაყოფა სჭირდება: დღე – პირველი ჭიქა ყავის შემდეგ, შაბათი – კვირადღის წინ, მსუბუქი სამშაბათი – მძიმე ორშაბათის შემდეგ...

დედამიწის მიზიდულობის ძალა ადამიანის ფიზიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად საკმარისია, მაგრამ დროის უწყვეტ მსვლელობაში მისი სულიერი წონასწორობისთვის – არასაკმარისია. ადამიანს არ შეუძლია დროის დინებას მდუმარედ მისდიოს და სამყაროს უკიდეგანობით ამოივსოს.

„ყავის ახლანდელი გემოთი დაკმაყოფილდი“, – თავის თავს ურჩია კაცმა. უნდა დატკბე შეგრძნებით, რომ დღესაც იგივე ყავას სვამ, რასაც თხუთმეტი წლის წინათ, თუმცა არ გამოირიცხება, რომ ყავა, დიდი ხანია, იგივე არ არის და არც გემოა იგივე, მაგრამ გემოს მეხსიერება გეუბნება – იგივეა! არც ის გამოირიცხება, რომ ოდესმე გემოს შეგრძნებას თუ დაკარგავ, გემოს მეხსიერება ამის მიხვედრის საშუალებას არ მოგცემს. ისიც შესაძლებელია, რომ, როცა სიკვდილი ახლოს იქნება, სიცოცხლის ჩვეულება ამის ჩაწვდომის ნებას არ მოგცემს.

ყველა ჯერზე, სამზარეულოს ფანჯრიდან გარეთ გახედვას გამბედაობა სჭირდებოდა. გარეთ კი, მეზობლის ეზოში, უძრავად ფინიკის ხე და მისი სახლის გალავანი იყო, რომელიც დამაბრმავებელი სითეთრით ქათქათებდა. ეს სითეთრე რაღა საჭიროა? ზღვა ხომ ისედაც ულმობლად აბრმავებს და ნუთუ, ხმელეთის ეს ყოვლისმომცველი სითეთრე იმისთვისაა, რომ ტანჯვა სრულყოფილი გახადოს?

ზღვის სიახლოვე არაფრით იგრძნობოდა. სამხრეთის ზღვა უდაბნოს თხევადი გაგრძელება იყო. მადლობელი უნდა იყოს ზღვის, რომ თევზებს არ ხარშავს და ნაპირზე არ ყრის.

... უდაბნოს ულმობელო ღმერთო, შენ ხომ კარგად იცი, რომ კაცობრიობის მხსნელის ლეგენდა აქ უნდა დაბადებულიყო. სამოთხის იმედი აქ უნდა ჩასახულიყო, ვინაიდან აქ მთელ წელიწადს, დღისით ჯოჯოხეთია და სიბნელე, ისე ცხელა, როგორც კუპრის ქვაბში, აქ ჰაერის შერხევა არა თუ ქარია, არამედ ცეცხლის ალები. აქ არ შეიძლებოდა, რომ რწმენა ფანატიკური არ ყოფილიყო, ვინაიდან ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან ხსნის სხვა გზა არ არსებობდა, გარდა რწმენისა და გამალებული ძიების. და არ შეიძლებოდა, რომ მხსნელს ადამიანის სახე არ ჰქონოდა, რადგან ქვიშნარსა და კლდოვანში სასარგებლო და საიმედო სხვა არაფერი იყო, რომ ტოტემის როლის შესასრულებლად გამომდგარიყო. არ შეიძლება აქლემს ჭამდე, მასზე ჯდებოდე და მისი გწამდეს კიდეც, იმავდროულად. ამიტომ, საკულტო საგანი ადამიანის სახისა უნდა ყოფილიყო, რომელიც ჩვენსავით უმწეოდ დაბადებული იქნებოდა.

და არ სცოდნოდა გზა იმ მეორე, ნამდვილი სიცოცხლის. „ნამდვილი“ იმიტომ, რომ ეს, პირველი, მგონი, არ გამოვიდა. არ გამოვიდა იმიტომ, რომ არ შეიძლება, ტანჯვა არყოფნის საპირისპიროდ იყოს. არყოფნიდან ამქვეყნად თავისი ნებით არავინ მოსულა და, მაშასადამე, სიცოცხლე არ შეიძლება, რომ სასჯელი იყოს, რადგან სასჯელი უდანაშაულოს არ ეზღვება. თავისი ნებით არავინ მოსულა და, შესაბამისად, არც იმისთვის მოსულა, რომ ამ ქვეყნიდან წასვლა მტკივნეულად შესაცნობი იყოს. საბოლოო ჯამში, სიცოცხლე ხომ ისეთი ფასია, რომლის სანაცვლოდ, ბუნებას არ შეეძლო მზაკვრობით გადაეხადა.

არარსებობაში გადასვლა, მინიმუმ, შეუცნობლად უნდა მოხდეს, ისევე, როგორც დაბადება არ შეცნობილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ატომ-ატომ ლოგიკურად განსჯილი კოსმოსური არსებობის ჯაჭვში, ეს მომენტი ალოგიკური იქნებოდა. არსებობის დასასრულის შეცნობა არ ხდება, რადგან არ ხდება სიცოცხლის ბოლო წამის შეცნობა. ბოლო წამის შეცნობა შეუძლებელია, რადგან მას ბოლოს წინა წამის შეგრძნება უსწრებს. მთელი პრობლემა კი ისაა, რომ სწორედ ამ წამის ჩაწვდომაა შეუძლებელი, ვინაიდან უკანასკნელი წამის გარდაუვალობა ბოლომდე არავის სჯერა. „არც უნდა დაიჯეროს“, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა კაცმა.

ამ დღეებიდან ერთ დღეს, უეცრად, მძინარეს გამოეღვიძა და მიხვდა, რომ წინა წამებში გული გაჩერებოდა. მიხვდა, როგორც ხდება – შეწყვეტას, დროებითსა თუ სამუდამოს ვერ გრძნობენ და გრძნობენ მხოლოდ შეწყვეტიდან დაბრუნებას, ისევე, როგორც გონზე მოსვლას გრძნობენ და გონების დაკარგვას კი – ვერა.

ᲦᲝᲠᲘᲡ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲜᲔᲠᲒᲔᲡ



ამერიკელმა ქირურგებმა წარმატებით გადაუნერგეს პაციენტს გენმოდიფიცირებული ღორის თირკმელი. გადანერგვის ოპერაცია, რომელიც ნიუ-იორკში ჩატარდა, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებულ პაციენტს ჩაუტარდა, რომლის ტვინიც უკვე მკვდარი იყო. მედიკოსების თქმით, თირკმელი მაშინვე ამუშავდა და შარდის გამომუშავება დაიწყო. ექიმები ვარაუდობენ, რომ გენმოდიციფირებული ღორები, პერსპექტივაში, შესაძლოა, „მდგრადი და აღდგენადი“ ორგანოების წყაროდ იქცნენ გადანერგვებისთვის. თუმცა, ჯერ გასარკვევია, რამდენად დიდხანს შეძლებს ასეთი ორგანო მუშაობას. თუ მკვლევარები ადამიანებისთვის შესაფერისი ორგანოების გამოყვანას შეძლებენ, ეს, დაახლოებით, 100 ათასი ამერიკელის პრობლემას გადაჭრის, რომლებიც ამ მომენტისთვის, ტრანსპლანტაციის გრძელ რიგში დგანან. პაციენტთა 90%-ზე მეტს კი, თირკმლის გადანერგვა სჭირდება.

პირველი ეკოსასაფლაო გახსნეს

ბელგიურ ფლანდრიაში, მსოფლიოში პირველი ეკოსასაფლაო გაიხსნა. აქ, ამ უჩვეულო სამარხზე აკრძალულია საფლავის ქვის დადგმა, ბილიკის მიყვანა, მაგიდების გამართვა. მიცვალებულის დამარხვა კი მხოლოდ ბიოხრწნადი სასახლითაა ნებადართული, რომელსაც გადამუშავებული მასალებით ამზადებენ. ახალი სასაფლაო 600-ადგილიანია, თუმცა ეს ადგილები არ იყიდება, მხოლოდ 25-წლიანი იჯარით გაიცემა. პროექტის ავტორების გათვლებით, სწორედ ამდენი დროა საჭირო, რათა ადამიანის გვამი ბუნების ნაწილად იქცეს. სასაფლაოზე ყველა ობიექტი (მაგალითად, სკამები, ადგილის მაჩვენებელი ნიშნები) კუნძებისა და გამოხშირული ხეებისგანაა დამზადებული. ნაკვეთის გასწვრივ კი ალუბლის ხეები იზრდება. მათ ტოტებზე გარდაცვლილთა ახლობლებს შეუძლიათ, ჩიტებისთვის „სახლები“ ჩამოკიდონ, რომლებზეც მიცვალებულთა საპატივსაცემოდ, მათ სახელებს დააწერენ.

გაყიდვაშია წნევის სამკურნალო... პომიდორი

ამომავალი მზის ქვეყანაში, გაყიდვაშია პომიდორი, ოღონდ შესწორებული გენომით – მასში ხუთჯერ მეტი გამა-ამინომჟავებია. ის არტერიულ წნევას აქვეითებს და გულის რიტმს ანელებს. ამგვარად, ახალი პომიდორი ადამიანებს წნევის დარეგულირებაში უნდა დაეხმაროს. ახალ ჯიშს Sicilian Rouge High GABA უწოდეს, რომელიც კუმამოტოს პრეფექტურაში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ პომიდორი შესწორებული გენომით – პირველი პროდუქტია იაპონიის ბაზარზე. გენმოდიციფირებული ბოსტნეულისგან იმით განსხვავდება, რომ მის დნმ-ში არ არის ხელოვნური გენი. პომიდორი CRISPR/Cas-ის ტექნოლოგიის დახმარებით გამოიყვანეს.

ᲓᲔᲓᲐ 70 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ინდოეთში მცხოვრები ხანშიშესული ქალი ამტკიცებს, რომ პირველად, 70 წლის ასაკში გახდა დედა. მთელი ცხოვრების მანძილზე, ბავშვებზე ოცნებობდა და მხოლოდ ხანდაზმულ ასაკში შეძლო, რომ ხელოვნური – ექსტრაკორპორალური განაყოფიერების გზით, სურვილი აესრულებინა. ადგილობრივმა მედიამ დაბეჭდა ფოტოები, რომლებზეც ასაკოვანი ქალბატონი ქმართან და ჩვილთან ერთადაა აღბეჭდილი. უკვე 45 წელია, წყვილი დაქორწინებულია, ახალგამომცხვარი მამის ასაკი კი 75 წელია. ინდოელი ექიმები ამბობენ, რომ თავიდან უარს ეუბნებოდნენ მოხუც წყვილს დახმარებაზე, რადგან ეს საშიში იქნებოდა ქალისთვის, მაგრამ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, პროცედურაზე დათანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე ხანდაზმული დედაც ინდოელია – 2019 წელს, 73 წლის ქალმა ტყუპები გააჩინა.

მალარიის პირველი ვაქცინა მზადაა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) ფართო მოხმარებისთვის, მალარიის პირველი ვაქცინა მოიწონა, რომელსაც აფრიკის ქვეყნებში გამოიყენებენ. „სინამდვილეში, ეს მართლაც ისტორიული მომენტია – დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, შეიქმნა ვაქცინა ბავშვებისთვის, მალარიის წინააღმდეგ. მისი გამოყენების შედეგად, ყოველწლიურად, ათობით ათასი სიცოცხლე გადარჩება“, – განაცხადა ჯანმო-ს ხელმძღვანელმა, გებრეისუსმა.

აღსანიშნავია, რომ ამ ვაქცინაზე მუშაობა თითქმის 30 წელიწადს გრძელდებოდა. აფრიკის ქვეყნებში მალარია ბავშვთა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია – ყოველწლიურად, ამ ვირუსისგან 250 ათასი, 5 წლამდე ასაკის ბავშვი იღუპება. პრეპარატის გამოყენებაზე თანხმობა ჯანმო-მ მისი ორწლიანი საცდელი ვაქცინაციის შემდეგ გასცა. ვაქცინით განის, კენიისა და მალავის ბავშვთა პოლიკლინიკებში აცრეს პატარები.

სრულწლოვან ესპანელებს ფულს დაურიგებენ

ესპანელი მოზარდები, რომლებსაც მომავალ წელს 18 წელი შეუსრულდებათ, კულტურული განათლებისთვის, 400 ევროს მიიღებენ. ამ თანხას ისინი წიგნებზე, კონცერტებზე, კინოსა და თეატრის ბილეთებზე დახარჯავენ. ქვეყნის ხელისუფლებას ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სურს – აამაღლოს ახალგაზრდების კულტურული დონე და დაეხმაროს ინდუსტრიას, რომელსაც პანდემიის გამო, სერიოზული ფინანსური ზარალი მიადგა.

ამ პროექტისთვის, დაახლოებით, 200 მილიონი ევროს გამოყოფას აპირებენ, თანხას კი 500 ათასამდე ახალგაზრდა ესპანელი მიიღებს. ცნობილია, რომ "კულტურულ ბილეთს" ვერ გამოიყენებენ კორიდაზე და ვერც სტრიმინგულ პლატფორმებზე, როგორიც, მაგალითად, Netflix-ია, თუმცა ვიდეოთამაშების შეძენას შეძლებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები უკვე მოქმედებს იტალიასა და საფრანგეთში, სადაც ახალგაზრდებს 500 ევროს (იტალია) და 300 ევროს (საფრანგეთი) უხდიან.

საკუთარ ქორწილში ქვაბით მიცურდნენ

ინდოეთში, ქერალას შტატში, რომელიც წყალდიდობამ დააზარალა, ნეფე-პატარძალი ტაძარში უზარმაზარი ქვაბით მიცურდა. ახალგაზრდები წინასწარ მოელაპარაკნენ ადგილობრივი ტაძრის მსახურს, რათა საქორწინო ცერემონია ჩაეტარებინა, თუმცა სტიქიის გამო, შესაძლოა, ქორწილი ჩაშლილიყო. მიუხედავად ამისა, აკაშმა და აიშვარიამ გადაწყვიტეს, მათ ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე არ გადაედოთ, უზარმაზარი ალუმინის ჭურჭელი იქირავეს და ასე მიცურდნენ ნაწილობრივ დატბორილ ტაძრამდე. უჩვეულო მექორწილეების ფოტოები უმალ გავრცელდა სოციალურ ქსელში და მოკრძალებულ ცერემონიას, რომელსაც მცირერიცხოვანი ახლობლები ესწრებოდნენ, უამრავი სტუმარი შეემატა. როგორც ახალდაქორწინებულებმა განაცხადეს, სადღესასწაულო ცერემონიის გადადება არ სურდათ, რადგან კიდევ როდის შეძლებდნენ შვებულების აღებას საავადმყოფოდან, სადაც ორივე მუშაობს, არ იცოდნენ. უზარმაზარი ქვაბი კი ერთადერთი შესაძლო ვარიანტი აღმოჩნდა, რომლითაც წყალდიდობის პირობებში, ტაძრამდე სწრაფად მივიდნენ.

ტურისტებს ნაგავს დაუბრუნებენ

ტაილანდში მდებარე ეროვნული პარკის – კჰაუიაის თანამშრომლები ნაგავს დაუბრუნებენ იმ ტურისტებს, რომლებიც პარკის ტერიტორიას დააბინძურებენ. ამის შესახებ ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა. ნაგავს ტურისტებს სახლში ფოსტით გაუგზავნიან. პარკის თანამშრომლებმა წესრიგის დამრღვევები ადვილად რომ იპოვონ, ყველა მნახველი ვალდებულია, პარკში შესვლის წინ, საკუთარი მონაცემები მიუთითოს. მინისტრმა ერთ-ერთი ასეთი, გასაგზავნად გამზადებული ამანათიც წარადგინა, რომელსაც თან ერთვის ბარათი წარწერით: "თქვენ ეს კჰაუიაის ნაციონალურ პარკში დაგრჩათ". გარდა ამისა, შესაძლოა, ტურისტს ტერიტორიის დანაგვიანებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაეკისროს – ხუთ წლამდე ვადიით, თავისუფლების აღკვეთით. კჰაუიაი სიდიდით მეორე პარკია ტაილანდში, სადაც 320 სახეობის ფრინველი და 67 სახეობის ცხოველი ბინადრობს.

როდის არის ადამიანი ყველაზე ბედნიერი?

ესპანელმა სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, რა ასაკში გრძნობს ადამიანი თავს ყველაზე ბედნიერად. კერძოდ, ექსპერტების მონაცემებით, ბედნიერების დონე არ უკავშირდება არც ადამიანის ფინანსურ მდგომარეობას და არც ქვეყნის კეთილდღეობის დონეს. მკვლევარებმა შეისწავლეს ევროპის 50 წელს გადაცილებულ მცხოვრებთა მონაცემები და საკუთარი მათემატიკური მოდელი შეადგინეს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად, თავს ბედნიერად გრძნობდნენ 30-დან 34 წლამდე ასაკის ადამიანები. 25-დან 30 წლამდე ევროპელები არც ისე ბედნიერები აღმოჩნდნენ, როგორც მათზე ცოტა უფროსები. 34 წელს ზემოთ კი, უკვე მნიშვნელოვნად მცირდება ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავს ბედნიერად მიიჩნევენ. სწავლულთა თქმით, ბედნიერებას გარკვეული გეოგრაფიული მაჩვენებელი აქვს. კერძოდ, სამხრეთ ევროპელები, 40 წლის შემდეგ, თავს ბედნიერად აღარ გრძნობენ, კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილის ბინადრები კი ეიფორიის შეგრძნებას უფრო ნელა კარგავენ.

ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის გადაუხდიან

სინგაპურის მცხოვრებლებს, თუკი ისინი სწორად იკვებებიან, სპორტს მისდევენ და ამავდროულად, ძილის რეჟიმსაც იცავენ, შეუძლიათ, 280 დოლარი გამოიმუშაონ. ეს ჩაწერილია შეთანხმებაში, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ კომპანია Apple-თან დადო. აქცია ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება და მასში მონაწილეობა შეეძლებათ აიფონებისა და Apple Watch-ის მფლობელებს. ისინი დარეგისტრირდებიან სპეციალურ პროგრამაში, რომელიც მათ ჯანმრთელ ჩვევებზე შეაგროვებს მონაცემებს. გარკვეული მაჩვენებლის მიღწევისას, პროგრამაში მონაწილეები ფულად ჯილდოს მიიღებენ.

გასართობი პარკი ჭაბურღილზე

სპარსეთის ყურეში, სულ მალე, ახალი ტურისტული ლოკაცია გაჩნდება. პროექტს The Rig ჰქვია და მას ნავთობის ერთ-ერთ ჭაბურღილზე, საუდის არაბეთში ააშენებენ. კომპლექსში, რომლის ფართობიც 160 ათასი კვადრატული მეტრია, სამი სასტუმრო, რესტორნები, ვერტმფრენის მოედნები და ექსტრემალური ატრაქციონები განთავსდება. პროექტს სახელმწიფო ინვესტიციების ფონდი განახორციელებს. თუმცა, ჯერჯერობით, ახალი ტურისტული ლოკაციის ზუსტ ადგილმდებარეობასა და გახსნის თარიღს არ ასახელებენ. ცნობილია, რომ პროექტი გარემოს დაცვის ეროვნულ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში იქნება.

უნგრელები სოფელს აქირავებენ

უნგრეთის დასავლეთით მდებარე სოფელ მარგიერის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ შაბათ-კვირას, დასახლებული პუნქტი გააქირაოს. დღე-ღამეში 210 ათას ფორინტად (დაახლოებით, 780 დოლარი), სოფლის ახალ მფლობელს მერის მოადგილედ დანიშვნასაც ჰპირდებიან. თუ დასახლების იჯარით აღების მსურველი გამოჩნდება, მას გარემონტებულ სახლში დაასახლებენ. მერის მოადგილეს უფლება ექნება, დროებით სახელი გადაარქვას ქუჩებსა და სხვა გეოგრაფიულ ობიექტებს სოფელში. ახალ მფლობელს, ასევე, უფლება ექნება, გამოიყენოს სხვა ობიექტებიც: ორი ასფალტიანი და ორი ხრეშიანი გზა, გაჩერება, საოფისე შენობა, სასტუმროს შვიდი კოტეჯი, რომელშიც ცხოვრება 39 ადამიანს შეეძლება, სამი სამეურნეო ნაგებობა, ექვსი ცხენი, სამი ცხვარი, ორი ძროხა და ოთხი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. სოფელში სულ 26 ადამიანი ცხოვრობს და როგორც მისი ხელისუფლება აცხადებს, ასეთი გადაწყვეტილება ტურიზმიდან შემოსავლის მისაღებად მიიღეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, მეხანძრე-მაშველები დაჯილდოვდნენ

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, ბათუმში, საცხოვრებელი სახლის ნგრევის გამო ჩატარებულ საძიებო-სამაშველო ღონისძიებაში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის, ასევე, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში განხორციელებული სამაშველო ოპერაციისთვის, მეხანძრე-მაშველებს უწყებრივი მედლები – „მამაცობისთვის“ გადაეცათ.

დაჯილდოების ღონისძიება თბილისში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების ბაზაზე გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, იოსებ ჭელიძე და საგანგებო სიტუაციების

მართვის სამსახურის უფროსი, თემურ მღებრიშვილი დაესწრნენ.

ღონისძიების მონაწილეებმა, მეხანძრე-მაშველებმა ბათუმში, საცხოვრებელი სახლის ნგრევის შედეგად დაღუპული მოქალაქეების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

იოსებ ჭელიძემ და თემურ მღებრიშვილმა მეხანძრე-მაშველებს კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა გაწეული საქმიანობისთვის და 10 მეხანძრე-მაშველს, მინისტრის სახელით, უწყებრივი მედლები გადასცეს.

8 ოქტომბერს, ბათუმში, საცხოვრებელი სახლის ნგრევის გამო მიმდინარე საძიებო-სამაშველო ღონისძიებაში 426 მეხანძრე-მაშველი იყო ჩართული, რომელთაც 29 საათის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში წარმართეს სამაშველო ოპერაცია. შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, თითოეული მათგანი კეთილსინდისიერი სამსახურისა და განსაკუთრებული სირთულის მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის წახალისდა.

საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ამერიკული მხარის მიერ სპეციალური აღჭურვილობა გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურომ (INL) სპეციალური აღჭურვილობა გადასცა.

ღონისძიებას აშშ-ის საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL), აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

თანამედროვე აღჭურვილობა ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ის საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში, არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მასშტაბური გადაიარაღების პროცესი დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ათას პოლიციელს გლოკის სისტემის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტები გადაეცემა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გადაცემის პირველი ეტაპი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე გაიმართა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე, მინისტრის მოადგილეები – იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი დაესწრნენ.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების შემდეგ, უახლოეს დღეებში, აღნიშნული ტიპის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით საპატრულო პოლიციისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები აღიჭურვებიან.

სამინისტროში შეიარაღებისა და სპეციალური საშუალებების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მიზნით, საპოლიციო აღჭურვილობის განახლების მასშტაბური პროცესი მიმდინარეობს. ბოლო წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ეს არის აყველაზე მასშტაბური გადაიარაღება და თანამშრომელთა თანამედროვე, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი, სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თანამშრომლების, როგორც სამუშაო პირობების, ასევე, მათი სპეციალური აღჭურვილობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.